პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 39 (20685) — ოთხშაბათი, 14 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 4 კაპ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

12 თებერვალს კრემლში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

იქ დისკუსიათა გათვალისწინებით, რომლებიც მიმდინარეობს საზოგადოებაში პოლიტიკური რეფორმის გაღრმავების, ამ პროცესში პარტიის, საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადგილისა და როლის შესახებ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა შეიტანონ მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები სსრ კავშირის კონსტიტუციაში პოლიტიკური სისტემის, საკუთრების, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საკითხებზე. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის დემოკრატიული ინსტიტუტების დაწესებას. ამ საკითხების განსახილველად უახლოეს მომავალში უნდა მოიწვიონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობა.

წინადადებები ამის შესახებ შეიტანეთ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის მომზადებასთან და გამართვასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მიმდინარე წლის 14 თებერვალს გაიხსნება.

განიხილა რა უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნ. ნიშანოვის ინფორმაცია და გაითვალისწინა ეროვნული პოლიტიკის სფეროში კანონმდებლობის განახლების განსაკუთრებული აქტუალურობა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა უზენაესი საბჭოს კომიტეტებისა და პალატების შუდმივმოქმედი კომისიების განსახილველად გადასცა მთელი რიგი კანონპროექტები — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის, სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გამოსვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესის, მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის ხელყოფისა და სსრ კავშირის ტერიტორიის მთლიანობის ძალადაბინძრევი დარღვევისთვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. ს. პავლოვისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ვ. ბაკატინის მოხსენებების თაობაზე პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება უზენაეს საბჭოს გადასცეს განსახილველად სსრ კავშირის მთავრობის მიერ შეტანილი კანონების პროექტები სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების უფლებების, საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმისა და სახოგადოებრივი წესრიგის დაცვისას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფლება-მოვალეობათა შესახებ. მრედველობაში მიიღეს, რომ შესაბამისი კომიტეტები და კომისიები წარმოადგენენ თავიანთ დასკვნებს ამ კანონპროექტების თაობაზე.

სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის გადწყვეტილების შესაბამისად სესიაზე უნდა აირჩიონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა კომიტეტი, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მუშაობის საპროცედურო კომისია და დეპუტატის ეთიკის საკითხთა კომისია. ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ გააკეთა უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ე. მ. პრიმაკოვმა. პრეზიდიუმმა შეიმუშავა წინადადება ამ ორგანოების შემადგენლობის შესახებ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. ლუკიანოვის ინფორმაციის გამო განიხილეს და ძირითადად მოიწონეს წინადადებანი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

შემდეგ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა „1940 წლის ესტონეთში მომხდარი მოვლენების ისტორიულ-სამართლებრივი შეფასების შესახებ" ესტონეთის სსრ უზენაესი საბჭოსა და „საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის ხელშეკრულებისა და ლიტვისათვის მისი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ" ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებათა საკითხები, რომლებიც საეჭვოდ ხდიან და ბათილად თვლიან 1940 წლის აქტებს სსრ კავშირის შემადგენლობაში ამ რესპუბლიკების შესვლის შესახებ. ამ საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო მიიღეს გადაწყვეტილება მისი განხილვის რეკომენდაცია მისცეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

(ТАСС).

საქართველოს სსრ სტატისტიკის ცნობა

გაუზარდოთ ეკონომიკური განვითარების დინამიზმი

საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1989 წელს

1989 წელს გათვალისწინებული ღონისძიებები ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების, მისი სოციალური ორიენტაციის განმტკიცებისა და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით სრულად ვერ განხორციელდა. სოციალურ სფეროში დაბანდებათა ხვედრითი წილი უმნიშვნელოდ გაიზარდა. აღინიშნებოდა მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი მატება, იმასთან, წარმოების სალეალებათა წარმოება შემცირდა. რესურსების ხვედრითმა წილმა ომსახურებისა და არასაწარმოო მშენებლობაზე ეროვნულ შემოსავალში შეადგინა 82,8 პროცენტი. გატარდა ცენტრალიზებული გეგმით გათვალისწინებული ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებები. გაიზარდა პენსიების მინიმალური ოდენობა.

მარშან რესპუბლიკაში მომხდარი სტიქიური უბედურებების, ხანგრძლივი გვალვებისა და შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებული გაფიცვების გამო ერთიანი ეროვნული პროდუქტი და წარმოებული ეროვნული შემოსავალი (ფასების ცვლილებების ზემოქმედების გარეშე) წინა წელთან შედარებით შემცირდა, შესაბამისად, 1,6 და 3,2 პროცენტით, სახოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 2,9 პროცენტით.

ფართოდ დაბა მეურნეობრობის ახალი ფორმების ეამოყენება. 1989 წლის ბოლოსათვის არენდულ ოჯარაზე მუშაობდა 15 სამეწველო საწარმო, 2 სამშენებლო ორგანიზაცია, 529 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, 2 საცალო ვაჭრობის საწარმო.

ეკონომიკური მდგომარეობა რესპუბლიკაში რთულია. გაიზარდა დაძაბულობა სამომხმარებლო ბაზარზე, დაქვეითდა ეკონომიკის განვითარების დინამიზმი. არ არის შესრულებული რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა უმრავლესობა, რაზედაც მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები (ფაქტობრივ ფასებში; მილიონი მანეთი):

	1989 წელი: გეგმით ან გასულ წლებთან შესაბამისად	1989 წელი: ფაქტიურად	1989 წელი პროცენტებით 1988 წლიდან (შესადარებელ ფასებში)
სამრეწველო პროდუქცია	•	11004,8	100,6
სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება (ალკოჰოლიანი სასმელების გარეშე), საცალო ფასებში	6130,6[1]	6211,3	104,0
მათ შორის:			
სასურსათო	2514,1	2568,2	105,1
არასასურსათო	3656,5	3643,1	103,2
სოფლის მეურნეობის პროდუქცია (შესადარ ფასებში)	3728,1	2885,7	88,8
მოქმედებაში შეყვანა:			
ძირითადი ფონდებიდან (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით)	3501[1]	2137	89
საცხოვრებელი სახლების, ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი	1896[1]	1422	84
კაპიტალური დაბანდებებში (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით)	3164[1]	2798	93
ტვირთის გადაზიდვა (გაგზავნა), საერთო სარგებლობის ტრანსპორტით, მილიონი ტონა	245,7	238,6	91,1
მგზავრთბრუნვა. საერთო სარგებლობის ტრანსპორტი, მილიარდი მგზავრ-კილომეტრი	•	17,1	94,0
მოგება სახალხო მეურნეობაში	2680,9	2572,4	103,1[1]
შუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	2250	2178	97,8
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში, ათასი მანეთი	5170	5227	104,6
შუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი, მანეთი	191,5	200,0	107,0
კოლმეურნეობის სახოგადოებრივ მეურნეობებში დასაქმებულ კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, მანეთი	151	156	107,6
გაცემული და შეფასებული მოსახლეობისგან მოხმარების სახოგადოებრივი ფონდებიდან	2966	3790	104,7
სახელმწიფო და კოოპერატიული კვების საცალო საქონელბრუნვა	6670,0	6504,3	107,3
მოსახლეობის ფასიანი მომსახურება	1147,4	987,0	98,9

[1] ფაქტობრივი ფასებით.

რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებათა კომპლექსის გატარების შედეგად, წინასწარი მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა მის ხარჯებს თითქმის 125 მილიონი მანეთით გადაჭარბა.

ბიუჯეტში შეტანილია 1799,8 მილიონი მანეთის ბრუნვის გადასახადი, რაც 57,6 მილიონი მანეთით, ანუ 3,3 პროცენტით მეტია წინა წლის დონეზე.

1989 წელს მიღებულ იქნა უფრო მეტი მოგება, ვიდრე წინა წელს. ამასთან, ეს მატება არსებითად განპირობებულია ფასების დაფსახეთებელი ზრდით. თითქმის ყოველმა მეოთხე სამრეწველო საწარმომ და სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა გეგმა ფინანსური შედეგების მიხედვით, ზოლო ხუთმა პროცენტზე — ზარალი განიცადა.

გაიზარდა ეკონომიკური სტიმულირების ფონდები. წინასწარი მონაცემებით, მარტო სამრეწველო საწარმოებში ამ ფონდებში გადარიცხეს 1,5 მილიარდ მანეთზე მეტი. ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ნაშთმა 1990 წლის დასაწყისისთვის თითქმის 500 მილიონი მანეთი შეადგინა.

ფულის მიმოქცევაში გამოშვებამ 19 პროცენტით გადააჭარბა 1988 წლის დონეს და ერთ მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლისა და ფასიან მომსახურებაზე ფასების ფაქტიურმა ზრდამ 1988 წელთან შედარებით 1,9 პროცენტი შეადგინა. დაფიქსირებული მოთხოვნის („ფარული ინფლაცია") ზრდის გათვალისწინებით სამომხმარებლო სექტორში ინფლაციის მასშტაბმა 6,2 პროცენტს მიაღწია.

სოციალური განვითარება

რესპუბლიკის მოსახლეობამ 1990 წლის დასაწყისისთვის შეადგინა 5474,5 ათასი კაცი. წლის განმავლობაში იგი გაიზარდა 33,6 ათასი კაცით, ანუ 0,6 პროცენტით. მოსახლეობის მატების ტემპის შემცირება ძირითადად გამოწვეულია დაბადებულთა რიცხვის შემცირებით. შობადობის საერთო კოეფიციენტი წლის განმავლობაში შემცირდა 17,3-დან 16,7-მდე მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით.

მოსახლეობის დასაქმება. 1989 წელს რესპუბლიკის შრომითი რესურსები გაიზარდა 6 ათასი კაცით და შეადგინა 3106 ათასი კაცი. სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 2737 ათასი კაცი, მათგან სახელმწიფო სექტორში —2244 ათასი (იმ მუშა-მოსამსახურეების ჩათვლით, რომლებიც ადრე არ ითვლებოდნენ ამ რიცხოვნობაში), კოლმეურნეობებში —242 ათასი, კოოპერატივებში (შემთავსებლების გარეშე) — 72 ათასი, პირად დამხმარე მეურნეობაში— 173 ათასი, ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში — 6 ათასი კაცი. წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლობდა 223 ათასი მოსწავლე. შრომისუნარიანი მოსახლეობიდან დაახლოებით 146 ათასი კაცი არ არის დასაქმებული სახოგადოებრივ წარმოებაში, მათგან ოთხმოცი მესამედი ქალებია, რომლებიც დასაქმებულნი არიან სამრეწველო მეურნეობაში და ბავშვების აღზრდით, 102 ათასი კაცი — დროებით უმუშევარია სამუშაო ადგილის შეცვლისა და შრომის სეზონური ხასიათის გამო; მესამე ჯგუფის უმუშევარი ინვალიდები, აგრეთვე პირები, რომლებიც თავს არიდებენ სახოგადოებრივად სასარგებლო შრომას და სამხედრო მოსამსახურეები.

თავისუფალი შრომითი რესურსების არსებობის პირობებში რიგ საწარმოებში იდგილი აქვს სამუშაო ადგილების დაუკომპლექტებლობას. მრეწველობაში მათი რაოდენობა შეადგენს 13 ათასს, მშენებლობაში — 2 ათასს, ვაჭრობასა და სახოგადოებრივ კვებაში — 0,8 ათასს, სატრანსპორტო-კომუნალურ მეურნეობაში — 1,1 ათასს.

გასულ წელს სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთავისუფლებული იყო 49 ათასი კაცი, ზეგრი მათგანი გადავიდა მომსახურების სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

საკონლის წარმოებისა და მომსახურების კოოპერატივებში დასაქმებულია (შემთავსებლების ჩათვლით) 110 ათასი კაცი. მათ მიერ გამოშვებულია (გაწეულია მომსახურება) 630 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის უშუალოდ მოსახლეობას მიეყიდა 125 მილიონი მანეთის საკონელი, რაც საცალო საკონელბრუნვისა და ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობაში მხოლოდ 1,6 პროცენტს შეადგენს. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში საქმიანობს კოოპერატორების 20 პროცენტი, სახალხო მოხმარების საკონლის წარმოებაში — 40 პროცენტი, მშენებლობაში — 14 პროცენტი, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევით და პროგრამულ საშუალებათა დამუშავების კოოპერატივებში—6 პროცენტი.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაუარესდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა გაცდენები, მოცდენები, კადრების დენადობა. განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე გაფიცვებმა. წელს განმავლობაში გაფიცვების გამო დაკარგა 1,3 მილიონი კაცდღე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველდღე სამუშაოზე საშუალოდ არ გამოდიოდა 6 ათასი კაცი. მხოლოდ ამ მიზეზით პროდუქციის (მეუსოფლებელი სამუშაოების) პირდაპირმა დანაკარგებმა 94 მილიონი მანეთი შეადგინა.

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის შედეგად საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების რაოდენობა შეამცირდა 23 პროცენტით; ამჟამად რესპუბლიკაში 37 სამინისტრო და უწყებაა. მართვის ორგანოთა აპარატის მუშაკთა რიცხოვნობა 1988 წლის მესამე კვარტალთან შედარებით შემცირდა 7 ათასი კაცით, ანუ 18 პროცენტით, სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატი — 2,3 ათასი კაცით, ანუ 33 პროცენტით.

მოსახლეობის შემოსავლები. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი სახალხო მეურნეობაში 187 მანეთიდან 200 მანეთამდე გაიზარდა, კოლმეურნეების შრომის ანაზღაურება — 145 მანეთიდან 156 მანეთამდე. კოოპერატივებში მომუშავეთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ (შემთავსებლების ჩათვლით) 300 მანეთს გადააჭარბა.

1989 წელს გრძელდებოდა ხელფასების მომატება ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკებისათვის, დეკემბრიდან შემოღებულია ახალი, უფრო მაღალი თანამდებობრივი განაკვეთები უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, დადგენილია დამატებითი შეღავათები ქვანახშირის მრეწველობის და მაბტების შენებლობის მუშაკებზე. ხელფასების მოსამატებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაეცემოდ იქნა 5 მილიონი მანეთი, კულტურის მუშაკებისათვის 1989 წელს გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღება განხორციელდება ეტაპობრივად 1990 წლიდან.

მოავლდება ახალი სატარიფო და თანამდებობრივი განაკვეთების შემოღება (საკუთარი სახსრების ხარჯზე) მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, სახოგადოებრივი კვების და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკებისათვის. სოფლის მეურნეობაში 1990 წლის დასაწყისისათვის შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილია მომუშავეთა დაახლოებით მესამეი.

გაიზარდა სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სახოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მომუშავეთა თანამდებობრივი განაკვეთები მართვის ორგანოების შესანახი ხარჯების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის ფარგლებში.

მოსახლეობამ მოხმარების სახოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 2790 მილიონი მანეთის გაცემები და შეღავათები, რაც 126,2 მილიონი მანეთით სჭარბობს 1988 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, აქედან 50 პროცენტზე მეტს ფულადი გაცემები შეადგენდა.

მოსახლეობის ფულადი შემოსავალი წინა წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის ერთი მილიარდი მანეთით, ანუ 12,4 პროცენტით. ფულადი შემოსავლის მატება 1,4-ჯერ აღემატებოდა მათ გასავლებს საკონლის შეძენასა და მომსახურების მიღებაზე.

მოსახლეობის ანაბრები სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დაწესებულებებში 1989 წელს 741 მილიონი მანეთით გაიზარდა და 6891 მილიონი მანეთი შეადგინა.

2100 ოჯახის ბიუჯეტის გამოკვლევის შონაცემებით შუშა-მოსამსახურეების ეროვნული შემოსავალი საშუალოდ ერთ სულზე 5 პროცენტით გაიზარდა და თვეში 124 მანეთი შეადგინა; კოლმეურნეების შემოსავალი 4 პროცენტით შემცირდა და 128 მანეთი შეადგინა.

მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახების მიერ კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული ფულადი დანახარჯები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15 პროცენტით, არასასურსათო საკონლის შეძენაზე — 10 პროცენტით, კოლმეურნეების ოჯახების დანახარჯები — შესაბამისად 14 და 8 პროცენტით.

1990 წლის დასაწყისისათვის პენსიონერების რიცხვმა ერთ მილიონს გადააჭარბა. 1989 წლის პირველი ოქტომბრიდან ასაკოვანი პენსიის მინიმალური ოდენობა გაიზარდა 70 მანეთამდე თვეში, რის შედეგადაც მდგომარეობა გაუუმჯობესდა 181 ათას პენსიონერს, მათ შორის 128 ათას კოლმეურნეს. მატერიალური მდგომარეობა გაუუმჯობესდა 8,5 ათას პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდს, რომელთა პენსიის მინიმალური ოდენობა გაიზარდა, შესაბამისად, 85 და 70 მანეთამდე; მდგომარეობა გაუუმჯობესდა აგრეთვე დაუუპულ სამხედრო მოსამსახურეთა 23 ათას ქვრივს, რომლებსაც მარჩენელის დაკარგვის გამო პენსია დაუდგინდა არა ნაკლებ 60 მანეთისა თვეში. ლიკვიდირებულია განსხვავება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფაში. ამ ღონისძიებების რეალიზაციაზე მარტო 1989 წლის მეოთხე კვარტალში გაწეულმა ხარჯებმა 13 მილიონი მანეთი შეადგინა.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებამ (ალკოჰოლიანი სასმელების ჩათვლით) შეადგინა 7858,9 მილიონი მანეთი (დამხმარე მრეწველობის ჩათვლით; საცალო ფასებში), რაც 347,8 მილიონი მანეთით, ანუ 4,6 პროცენტით მეტია, ვიდრე 1988 წელს.

გაიზარდა შედარებით ძვირადღირებულ ნაკეთობათა წარმოება, მაგალითად, მსუბუქ მრეწველობაში 1989 წელს საცალო ფასების დანამატით რეალიზებული საქონლის გამოშვება 3,2 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც დანარჩენი საქონლის გამოშვება შემცირდა 2,4 პროცენტით; საქონლის ხვედრითმა წილმა, რომლის რეალიზაციაც ხდება ფასდანამატით, მსუბუქი მრეწველობის საქონლის საერთო მოცულობაში 24 პროცენტი შეადგინა.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (საცალო ფასებით; მილიონი მანეთი)

	წარმოებულია 1989 წელს	გეგმის სრულყოფის პროცენტი	1989 წელი პროცენტებით 1988 წ.
სახალხო მოხმარების საქონელი	7858,9	100,5	104,6
მათ შორის:			
კვების პროდუქტები	2693,0	102,1	105,1
ალკოჰოლიანი სასმელები	1513,7	99,8	107,4
არასასურსათო საქონელი	3650,2	99,6	103,2
აქედან მსუბუქი მრეწველობის საქონელი	2072,0	100,2	99,3

ცალკეული სახის კვების პროდუქტების წარმოება 1989 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1989 წ.	გეგმის სრულყოფის პროცენტი	1989 წ. პროცენტებით 1988 წ.
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება), ათასი ტონა	89,9	83,2	96,1
ძეხვეული, ათასი ტონა	35,6	99,7	97,1
სასურსათო თევზეულის პროდუქცია, თევზის კონსერვების ჩათვლით, ათასი ტონა	63,8	91,8	92,1
კარაქი, ათასი ტონა	1,2	104,2	104,6
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	19,9	95,7	102,2
მოუხდელი რძის პროდუქტი (რძეზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	256,7	100,6	99,1
მარგარინის ნაწარმი, ათასი ტონა	38,9	100,1	96,4
შაქრის ფხვნილი, ათასი ტონა	32,0	91,4	60,4
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	8,8	78,2	77,1
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	66,1	95,0	96,4
ხარისხოვანი დაფასოებული ნატურალური ჩაი, ათასი ტონა	133,1	103,3	117,0
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	701,0	93,8	73,9
მათ შორის ხილბოსტნეულის	686,4	98,3	73,6
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	12,3	82,1	79,7
ალკოჰოლიანი სასმელები, მილიონი დეკალიტრი	14,2	100,0	101,9
ალკოჰოლიანი სასმელები (აბსოლუტურ ალკოჰოლზე გადაანგარიშებით), მილიონი დეკალიტრი	4,2	98,2	111,0

1989 წელს წინა წელთან შედარებით შეამცირეს: ხორცის წარმოება — საწარმოო გაერთიანება „თბილისხორცმა", ახალციხის, ბათუმის, გორის, ზესტაფონის, თელავის, სარკოდის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, ხაშურის ხორაცკომბინატებმა, საგარეჯოს რაიონის გირგიწმინდის ხორცის გადამამუშავებელმა ქარხანამ; ძეხვეულის ნაწარმის — საწარმო გაერთიანება „თბილისხორცმა", ზესტაფონის, ფოთის, ქუთაისის, სოხუმის, ჭიათურის ხორაცკომბინატებმა, რუსთავის ხორცის გადამამუშავებელმა ქარხანამ; მოუხდელი რძის პროდუქციის (რძეზე გადაანგარიშებით) — გაგრის, სოხუმის, ცხინვალის რძის ქარხნებმა, საწარმო გაერთიანება „თბილისრძემ"; საკონდიტრო ნაწარმის — საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერია" და სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკამ.

ცალკეული სახეობების მიხედვით სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის გამოშვების დაკავებების შესრულება შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

	წარმოებულია 1989 წ.	გეგმის სრულყოფის პროცენტი	1989 წ. პროცენტებით 1988 წ.
ტანსაცმელი, მილიონი ტანადარტული მეტრი	123	97	90
მათ შორის:			
ბამბეულის	46,2	89	77
ხანრეულის	47,0	104	93
მატყლის	9,5	96	99,5
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიონი ცალი	55,9	89	93
მათ შორის:			
ბავშვებისათვის	34,3	99,9	97
ახალგაზრდებისათვის	4,2	110	90
უფროსი ასაკის პირთათვის	2,6	102	—
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	31,9	89	96
მათ შორის:			
ბავშვებისათვის	8,4	100	110
ახალგაზრდებისათვის	1,8	101	108
საკერავი ნაწარმი (დამუშავების სორტიმენტი დირებულების მიხედვით), მილიონი მანეთი	59,8	99,4	82
მათ შორის:			
ბავშვებისათვის	8,8	103	103
ახალგაზრდებისათვის	2,7	114	116
უფროსი ასაკის პირთათვის	2,2	147	159
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	16,2	92	100
მათ შორის:			
ბავშვებისათვის	3,3	93	93
ახალგაზრდებისათვის	2,6	109	108
უფროსი ასაკის პირთათვის	1,0	98	92

(გაგრძელება 2-ე გვ.)

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

განვაცხადოთ იმათ ვარდოდგელას, ვინც დასასახელეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულნი არიან:

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ტერიტორიულ-დარგობრივი გაერთიანების მშენებლობის გაყოფილების გამგე **მაკარ ბიბილეიშვილი** — ოზურგეთის რაიონის ბაზების საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ოზურგეთის რაიონის ლიბაურის ჩაის ფაბრიკის დირექტორი **ავთანდილ კონსტანტინეს ძე ხავთასი** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ოქტომბერი ნაგებობების სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიდიცინის ფაკულტეტის მიდიცინის ინსტიტუტის ასისტენტი **ალიოშა ეფენდრეს ძე ხუდობინიძე** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ოქტომბერი ნაგებობების სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის ბიოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტი **ალიოშა ეფენდრეს ძე ხუდობინიძე** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ქუთაისის ავტომობილთა ქარხნის ავტომობილთა ტრანსპორტის ფაბრიკის ავტოფარეხის ავტოფარეხის ინჟინერ-ტექნიკოსი **ალეკო ალექსანდრეს ძე ბოლოქაძე** — ბოლოს რაიონის სოფ. ბაბანეთის ავტოფარეხ

გაკეთდა ეკონომიკური განვითარების დინამიზმი

(გაგრძელება)

	წარმოებული 1989 წ.	გეგმის შესრულების პროცენტი	1989 წელი პროცენტებით 1988 წელთან
ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, ათასი ცალი	63,2	100,3	114
ავეჯი, მილიონი მანეთის	127	76	87
საყოფაცხოვრებო საათები, ათასი ცალი	20,3	88	84
შალერი, მილიონი პირობითი ნაჭერი	29,9	99,6	105
სუფთა ქაღალდის ნაწარმი, მილიონი მანეთი	37,0	102	98
ელექტროსაყოფაცხოვრებო ნაწარმის გალვანური ელემენტები და ბატარეები, მილიონი ცალი	78,3	100	104
სარეცხი საპონი, ათასი ტონა	12,5	93	99
სინთეზური სარეცხი საშუალებანი (დაფასოებული), ათასი ტონა	5,8	100	98
საბაღე სახლები, ათასი ცალი	1,1	65	91

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ისეთი საქონლის გამოშვებაში, რომელზედაც მოთხოვნილება, დიდი ხანია, ვერ კმაყოფილდება; გეგმაზე ნაკლებია გამოშვებული: ავეჯი — 39,4 მილიონი მანეთის, საყოფაცხოვრებო საათები —2,7 ათასი ცალი, სარეცხი საპონი — 973 ტონა, საბაღე სახლები 573 ცალი, შალერი — 115 ათასი პირობითი ნაჭერი.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს საგეგმო დავალებების შესრულება: ტრიკოტაჟის ნაწარმის (გეგმის დააკლეს 6,4 მილიონი ცალი), ფეხსაცმელი (1440 ათასი წყვილი), სამავშვო რეტტუზების (1097 ათასი წყვილი), კაბების (1074 ათასი ცალი), ხალიჩების (162 ათასი კვადრატული მეტრი), კოსტუმების (20 ათასი ცალი). არ შესრულებულა აგრეთვე ბამბის და შალის ქსოვილების წარმოების გეგმები.

საცალო საქონელბრუნვა და ფასიანი მომსახურება. საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა 97,5 პროცენტით, წლიური გეგმის შესრულებას დააკლდა 165,7 მილიონი მანეთი. განსაკუთრებით ჩამორჩენენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (36 მილიონი მანეთი), ცეკავშირის (29,5 მილიონი მანეთი), სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის (59,8 მილიონი მანეთი), სათბობის სახელმწიფო კომიტეტის (41,7 მილიონი მანეთი), სისტემის სავაჭრო ორგანიზაციები.

საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის 43 რაიონისა და ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა, მათ შორის განსაკუთრებით ჩამორჩნენ ქალაქების გორისა და ტყიბულის, ამბროლაურის, ვანის, დუშეთის, ყვარლის და კასპის რაიონების ორგანიზაციები.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საერთო მოცულობა 1988 წელთან შედარებით გაიზარდა 495,9 მილიონი მანეთით, მათ შორის კოოპერატივების პროდუქციის და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ხარჯზე — 25,9 მილიონი მანეთით. საქონელბრუნვის მატების 16 პროცენტი მოდის ალკოჰოლიანი სასმელების წილად (გაიზარდა 81,2 მილიონი მანეთით, ანუ 30,9 პროცენტით); მატების მეოთხედი (130 მილიონ მანეთზე მეტი) მიღებულია საქონლის საშუალო ჯგუფობრივი საცალო ფასების ზრდის ხარჯზე. უშუალოდ მოსახლეობისათვის მიყიდული საქონელი (ალკოჰოლიანი სასმელების გარეშე) გაიზარდა 284,4 მილიონი მანეთით, ანუ 4,8 პროცენტით.

სასურსათო პროდუქტებიდან 1-4 პროცენტით გაიზარდა ძეხვეულის, თევზის -უალკოჰოლო და მინერალური წყლების გაყიდვა; 7-14 პროცენტით — მარილის, თევზის კონსერვების, მცენარეული ზეთის; 33 პროცენტით — ჩაის რეალიზაცია; 5-10 პროცენტით შემცირდა ხორცისა და ფრინველის, საკონსერვო ნაწარმის, კვერცხის, ყველის, ხილის წვენების; 11-19 პროცენტით — მარგარინის, შაქრის, ხორცის კონსერვების; 22-24 პროცენტით — ბოსტნეულის, ხილისა და ციტრუსების; 40 პროცენტით — ბოსტნეულის წვენების რეალიზაცია. კარტოფილის, კარაქის და პურის რეალიზაცია დარჩა შარშანდელ დონეზე.

არასასურსათო საქონლიდან 1-5 პროცენტით გაიზარდა რვეულების, მინისა და ფაიფურ-ჭაშანური ჭურჭლის, ტელევიზორების, ბამბეულის ქსოვილების გაყიდვა; 6-15 პროცენტით— საფეიერო გალანტერიის, შალის ქსოვილების, წინდების და ტრიკოტაჟის ნაწარმის, მოტოციკლების და მოტოროლერების; 30-31 პროცენტით — ხელის საპნის და აბრეშუმის ქსოვილების რეალიზაცია; 2-10 პროცენტით შემცირდა ტანსაცმლის და თეთრეულის რეალიზაცია, ველოსიპედების და მოპედების, საკერავი მანქანების, ფოტოაპარატების, მაცივრების, სოფლახო საპნის რეალიზაცია; 11-26 პროცენტით — რადიომიმღები მოწყობილობის, მსუბუქი ავტომობილების, საშენი მასალების, ბენზინის, სარეცხი მანქანების, მოთუთიებული ლითონის ჭურჭლის; ელექტრომტვერსასრუტების, საყოფაცხოვრებო საათების, ხალიჩების და ტყავის ფეხსაცმლის რეალიზაცია შარშანდელ დონეზე დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სახეობის საქონლის რეალიზაცია გაიზარდა, სამომხმარებლო ბაზარზე მდგომარეობა კვლავ უკიდურესად დაძაბულია, მოთხოვნა უსწრებს მიწოდებას. მოსახლეობის დაუკმაყოფილებელმა მოთხოვნამ საქონელზე და მომსახურებაზე გასული წლის ბოლოსათვის 7,2 მილიარდი მანეთი შეადგინა. ხორცის, კარაქის, შაქრის, ყველის რეალიზაცია დედაქალაქში ხორციელდება ტალონების საშუალებით; რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ტალონური სისტემა არ ინერგება, ვინაიდან არ არის გარანტირებული სახელმწიფოს რესურსებით უზრუნველყოფა.

არ უმჯობესდება მდგომარეობა მოუხდელი რძით ვაჭრობაში; არ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა საკონდიტრო ნაწარმზე, შაქრის რეალიზაციის ნორმირებულმა სისტემამ მოიცვა პრაქტიკულად რესპუბლიკის მთელი ტერიტორია. არადამაკმაყოფილებლად მარაგდება მოსახლეობა კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციით, რომელთა ხარისხი კვლავ დაბალია.

მთლიანად ვაჭრობისათვის გამოყოფილი პურის პროდუქტების მოცულობა საკმარისია მოსახლეობის შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის. ამავე დროს სიძნელეებია მაღალხარისხოვანი ფქვილის, წიწიბურის, ქერის და შვრის ბურღულის შეძენაში. არასაკმარისად მზადდება მაკარონის ნაწარმი უმაღლესი და პირველი ხარისხის ფქვილისაგან.

ბევრი სახეობის სამკერავო ტრიკოტაჟის ნაწარმის და განსაკუთრებით ფეხსაცმლის რეალიზაცია მიმდინარეობს შეფერხებებით. მაღაზიებში პრაქტიკულად გაქრა ბამბეულის თეთრეული, ქალისა და ბავშვის კოლგოტები, მამაკაცის წინდები.

მწვავე დეფიციტის პირობებში მიმდინარეობდა ელექტროსაყოფაცხოვრებო ტექნიკის, ტელერადიოს და ფოტოკინო აპარატურის, ავეჯის, ველოსიპედებისა და მოპედების, მრავალი სახეობის ჭურჭლის, საათების, კოსმეტიკურ-საპარფიუმერიო და სხვა საქონლით ვაჭრობა.

1989 წელს ვაჭრობაში მიწოდებული საპნისა და სარეცხის საშუალებების რესურსები ძირითადად შეესაბამებოდა მოსახლეობის მოთხოვნას და მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით ხელისა და საოჯახო საპნისა 3,5 კილოგრამს, სინთეზიური სარეცხი საშუალებები კი 4,5 კილოგრამს შეადგენდა, ნაცვლად შესაბამისად 3,2 და 2,7 კილოგრამისა წინა წლებში, თუმცა გრძელდება მათი შეძენა სამომხმარებლო მარაგისათვის, მასიური ხასიათი მიიღო სპეკულაციის ფაქტებმა.

გაუარესდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ხე-ტყით და საშენი მასალებით. გაიზარდა დეფიციტი პრაქტიკულად ყველა სახეობის მასალებზე, რაც გამოწვეულია ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და კოლექტიური მებაღეობის მასშტაბების ზრდით, ხოლო ვაჭრობაში ხე-ტყისა და საშენი მასალების მიწოდების შემცირებით.

კვლავინდებურად დიდ უკმაყოფილებას იწვევს სახალხო მოხმარების საქონლის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი. 1989 წელს დაწუნებული და დაბალ ხარისხში გადაყვანილი იქნა შემოწმებული რაოდენობის 9 პროცენტი — ფრინველის ხორცი, მაკარონის ნაწარმი და ღვინო; 10-29 პროცენტი — პურფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ერბო და ხილბოსტნეულის კონსერვები; 36-49 პროცენტი — ყველი, თევზის კონსერვები, უალკოჰოლო სასმელები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი; ხშირად არ აკმაყოფილებს მომხმარებელს კოოპერატივებისა და ინდივიდუალური შრომით დასაქმებული პირების მიერ წარმოებული საქონლის ხარისხიც.

სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების ინდექსმა[1] რომელიც გაანგარიშებულია საქონელ-წარმომადგენლების ფასების რეგისტრაციის საფუძველზე, 1989 წელს 1988 წელთან შედარებით 101,9 პროცენტი შეადგინა.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში და საკოლმეურნეო ბაზარზე შეძენილი საქონლის საშუალო ფასები, რომელიც ითვალისწინებს ასორტიმენტის სტრუქტურისა და რეალიზაციის ბაზების ცვლილებას, გაიზარდა 2,4 პროცენტით, მათ შორის ხილზე და ბოსტნეულზე — 12,6, კარტოფილზე 32,9 პროცენტით; ტყავის ფეხსაცმელის ფასი — 2 პროცენტით, ქსოვილების 6 და ბეჭდვითი გამოცემების — 10 პროცენტით. უმნიშვნელოდ შემცირდა ან იგივე დონეზე დარჩა კარაქის, ზეთის, კვერცხის, ზოგიერთი სახეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის ფასები.

1988 წელთან შედარებით გასულ წელს საკოლმეურნეო ბაზრის ფასები გაიზარდა 10,6 პროცენტით, მათ შორის კარტოფილზე — 26, ბოსტნეულზე — 15, კვერცხზე — 14 პროცენტით.

1989 წელს ფასიანი მომსახურების მოცულობამ შეადგინა 987 მილიონი მანეთი, ანუ გეგმის 86,0 პროცენტი. გეგმასთან შედარებით არ იქნა გაწეული 160,4 მილიონი მანეთის მომსახურება. გეგმა ვერ შესრულდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ტყიბულში, ჭიათურაში და რესპუბლიკის 9 რაიონში. 1988 წელთან შედარებით ფასიანი მომსახურების მოცულობა შემცირდა 9,3 მილიონი მანეთით, ანუ 0,9 პროცენტით, სამუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გაწეულია 229 მანეთის ფასიანი მომსახურება, რაც დადგენილი მოხმარების რაციონალური ნორმის ნახევარზე ნაკლებია.

სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა მომსახურების ისეთმა სახეებმა, როგორიცაა -ტურისტულ სექსკურსიო, სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი, კულტურის დაწესებულებები, რომელთა წილი ფასიანი მომსახურების მთლიან მოცულობაში შეადგენს 22 პროცენტზე ცოტა მეტს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობამ შეადგინა 363,9 მილიონი მანეთი, რაც 1,4 პროცენტით აღემატება 1988 წლის დონეს. ამასთან ერთად მოსახლეობის მოთხოვნა არასრულად კმაყოფილდება ისეთი სახის მომსახურებაზე, როგორიცაა სახლების და ბინების მშენებლობა და რემონტი, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება, ინდივიდუალურ მფლობელთა მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური მომსახურება, ტახსაცლის ქიმწმენდა და რეცხვა და სხვა. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მოსახლეობის მომსახურების დონე საყოფაცხოვრებო სამსახურის სპეციალიზებული საწარმოების მიერ, რომელთა მოცულობის 23 პროცენტი საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვისაა შესრულებული.

საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა. საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობაზე გამოყენებულია 410 მილიონ მანეთამდე კაპიტალური დაბანდებები, რაც 10 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 1988 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ინვესტიციის მთლიან მოცულობაში მათი ხვედრითი წილი 1988 წლის დონეზე დარჩა და შეადგინა 18 პროცენტი. განვლილ წელს აშენდა 18,4 ათასი ბინა 1422 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ ჩაბარების წლიური დავალება ვერ შესრულდა. ექსპლუატაციაში ჩაბარდა 265 ათასი კვადრატული მეტრით ნაკლები საერთო ფართობის საცხოვრებელი, ვიდრე წინა წელს. წლიური პროგრამის შესრულებაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა დაშვებული აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქ თბილისში. ისევე როგორც წინა წლებში, დიდი ჩამორჩენით მიმდინარეობდა კოოპერაციული სახლების მშენებლობა. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოცულობა გაიზარდა; მისმა წილმა საექსპლუატაციოდ ჩაბარებული საცხოვრებელი სახლების მთლიან მოცულობაში შეადგინა 40,8 პროცენტი, ნაცვლად 1988 წელს არსებული 29,9 პროცენტისა. ამასთან ამ სახეობის საბინაო მშენებლობა ფერხდება ბანკის კრედიტის მიღებაში და სამშენებლო მასალების მეძენაში არსებული სიძნელეების გამო.

აჭარის, მესხეთისა და ლენტეხის რაიონებიდან სტიქიური უბედურების შედეგად გადმოსახლებულთათვის აშენდა 754 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი 100,7 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

საბინაო ფონდმა მიაღწია 97,3 მილიონ კვადრატულ მეტრ საერთო ფართობს. ერთ სულ მოსახლეზე საცხოვრებლით უზრუნველყოფამ შეადგინა 18,0 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი — 12,9 კვადრატული მეტრი.

კვლავინდებურად მწვავეა საბინაო პრობლემა. ქალაქების იმ ოჯახთა საერთო რიცხვიდან, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდით, ყოველი მეცხრე დგას ბინის მიღების აღრიცხვაზე (მათ შორის ნახევარი 5-დან 10 წლამდე, 20 პროცენტი — 10 წელზე მეტი).

განსაკუთრებით მწვავეა საბინაო პრობლემა ახალგაზრდა ოჯახებისათვის. ყოველი მერვე ახალგაზრდა ოჯახი ქირაობს ფართობს ცალკეულ მოქალაქეებთან. გაანგარიშებით, მუშებისა და მოსამსახურეების დაახლოებით 6,5 ათასი ახალგაზრდა ოჯახი დგას საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების რიგში, მათ შორის ერთ მესამედზე მეტისათვის რიგში დგომის ხანგრძლივობა გრძელდება 5-დან 10 წლამდე.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 19,4 ათასი მოსწავლის ადგილზე, რაც 14,2 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე წინა წელს. მათგან ნახევარზე მეტი საექსპლუატაციოდ ჩაბარდა სასწავლო წლის დაწყების შემდეგ. რესპუბლიკაში ვერ შესრულდა წლიური დავალება, მათ შორის აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თბილისში და ქუთაისში.

საექსპლუატაციოდ ჩაბარდა სკოლამდელი დაწესებულებები 5,7 ათას ადგილზე, რაც 40,6 პროცენტით ნაკლებია 1988 წელთან შედარებით. წლიური დავალება რესპუბლიკაში ვერ შესრულდა, მათ შორის აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და თბილისში.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები აშენდა 1,0 ათასი მოსწავლის ადგილით. მათი ამოქმედების წლიური გეგმა ვერ შესრულდა.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები ამოქმედდა 1450 პაციენტისათვის ცვლაში, საავადმყოფოები — 638 საწოლზე. ვერ შესრულდა მათი საექსპლუატაციოდ ჩაბარების წლიური პროგრამა, მათ შორის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისა — აჭარაში, თბილისში; საავადმყოფოებისა — თბილისში.

საკლუბო დაწესებულებები აშენდა 2,5 ათას ადგილზე, რაც ნაკლებია, ვიდრე 1988 წელს; წლიური გეგმა ვერ შესრულდა.

საანგარიშო წელს არ აშენებულა ღრმად მოხუცებულებისა და ინვალიდებისათვის ერთი ერთი სახლ-ინტერნატი.

სახალხო განათლება. რესპუბლიკის სასწავლებლებში სწავლობს და კვალიფიკაციას იმაღლებს 1,5 მილიონი კაცი.

მეორე ცვლაში სწავლობს თითქმის ყოველი მეხუთე მოსწავლე. 2,6 ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობს მესამე ცვლაში. პირველი კლასის პროგრამით სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლობს 78,7 ათასი 6 წლის ასაკის ბავშვი.

მუდმივ სკოლამდელ დაწესებულებებში იმყოფება 200 ათასი ბავშვი, ანუ შესაბამისი ასაკის დაახლოებით 50 პროცენტი. ამავე დროს სკოლამდელ დაწესებულებებზე მოსახლეობის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. 2 ათასამდე ბავშვი საჭიროებს მოწყობას სამავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულია 17,4 ათასი კაცი, რაც 36,6 პროცენტით მეტია 1988 წელთან შედარებით; საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 14,0 ათასი კაცი, ანუ 3,2 პროცენტით ნაკლები. სასწავლებლებს (ორგანიზაციებს), უმაღლეს სასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე სწავლობს დღის განყოფილების სტუდენტთა 0,6 პროცენტი. სტუდენტების რიცხვმა შეადგინა 93,1 ათასი, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვმა გადააჭარბა 44 ათასს.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღებული მოსწავლეების რიცხვმა შეადგინა 28,2 ათასი კაცი, რაც 15 პროცენტით ნაკლებია 1988 წელთან შედარებით.

მუშაობდა 4,3 ათასი მასობრივი ბიბლიოთეკა 44,3 მილიონი ეგზემპლარი წიგნის ფონდით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მოსახლეობის უზრუნველყოფა საკლუბო დაწესებულებებით არ იცვლება. კინოსეანსებზე დასწრება შემცირდა 7,8 პროცენტით. მცირდება მაყურებელთა რიცხვი პროფესიულ თეატრებშიც. ამის ძირითადი მიზეზებია ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ტელეგადაცემების მოცულობის გაზრდა, ვიდეოდარბაზების ქსელის განვითარება.

ულმიტო ხელმოწერის დანერგვის შედეგად არსებითად დაიზარდა ჟურნალების და გაზეთების ტირაჟი. წიგნებისა და ბროშურების ტირაჟმა გადააჭარბა 23 მილიონ ეგზემპლარს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. რამდენადმე შემცირდა მოსახლეობის დაავადება შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვით, ამავე დროს გაიზარდა ტრავმებისა და ყოფაცხოვრებაში მოწამვლის რიცხვი. წინა წელთან შედარებით უბედური შემთხვევების, მოწამვლისა და ტრავმებისაგან გარდაცვლილთა რიცხვი გაიზარდა 320-ით, ანუ 11 პროცენტით.

საავადმყოფო დაწესებულებების სიმძლავრე წლის განმავლობაში გაიზარდა 1400 საწოლით, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისა — ცვლაში 1500 პაციენტის მიღებით. გაფართოდა დიალნოსტიკური ცენტრების ქსელი. 1990 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში მუშაობდა 31,2 ათასი ექიმი და 66,4 ათასი საშუალო სამედიცინო მუშაკი, რაც შესაბამისად 2,6 და 1,2 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წელს. ამასთან, სამედიცინო მომსახურებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. მისთვის დამახასიათებელ ნიშნებად რჩება საავადმყოფოების შენობების მოუწყობლობა, თანამედროვე აპარატურისა და მოწყობილობების ნაკლებობა, წამლების, თეთრეულის უკმარისობა, ცუდი კვება.

შიდსით დაავადების გავრცელების საწინააღმდეგოდ ორგანიზებულია 10 ლაბორატორია სისხლის ვირუსზე გამოკვლევისათვის. რესპუბლიკაში გამოვლინდა შიდსით დაავადების ერთი შემთხვევა, ავადმყოფი გარდაიცვალა.

სამართალდარღვევები. რეგისტრირებულია 17,6 ათასი დანაშაული, ანუ 6,4 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. ყოველი მეექვსე დანაშაული მძიმეა, ყოველი მესამე დანაშაული, რომელიც იმყოფება ძიებაში — რჩება გაუხსნელი.

ძარცვები გაიზარდა 1,2-ჯერ, ყაჩაღური თავდასხმები — 1,5-ჯერ. ისინი რეგისტრირებულია, შესაბამისად, 172 და 213. მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა გაიზარდა 1,3-ჯერ, მათ შორის ბინის ქურდობა — 1,4-ჯერ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობა რეგისტრირებულია 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1988 წელს, მათ შორის საწყობებიდან, ბაზებიდან, მაღაზიებიდან და სხვა სავაჭრო წერტილებიდან — 1,8-ჯერ, რკინიგზაზე, წყლის და საჰაერო ტრანსპორტზე ტვირთის ქურდობა — 1,9-ჯერ.

მოხდა 207 განზრახ მკვლელობა, 316 სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რაც 1988 წელთან შედარებით მეტია, შესაბამისად, 33,6 და 36,2 პროცენტით. აღრიცხულია გაუპატიურებისა და მისი მცდელობის 91 შემთხვევა, რაც წინა წელთან შედარებით 6,2 პროცენტით ნაკლებია.

არასრულწლოვანთა მიერ ან მათი მონაწილეობით ჩადენილია 605 დანაშაული (24,2 პროცენტით მეტი); ადრე ნასამართლევი პირების მიერ — 687 (20,3 პროცენტით ნაკლები); ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ — 1103 (12 პროცენტით მეტი); ჯგუფური დანაშაულის რიცხვმა შეადგინა 741 (8 პროცენტით ნაკლები).

რეგისტრირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გატაცების 90 შემთხვევა.

გარემოს მდგომარეობა. ბუნების დაცვის ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების საერთო თანხამ (სატყეო მეურნეობაში დანახარჯების ჩათვლით) შეადგინა 85,0 მილიონი მანეთი, მათ შორის 39,0 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებია. მთლიანად დანახარჯი 1988 წელთან შედარებით გაიზარდა 2,4 მილიონი მანეთით.

რესპუბლიკის საჰაერო აუზში სტაციონალური წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა 1988 წელთან შედარებით შემცირდა 48 ათასი ტონით, ანუ 10 პროცენტით. გამოფრქვევა შემცირდა თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“, მეტალურგიულ და ცემენტის ქარხნებში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, თბილისის სამსხმელო ქარხანა „ცენტროლიტში“, საწარმოო გაერთიანება „კასპიცემენტში“.

ამავე დროს, გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო ყველგან ეკოლოგიური მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება. უფრო მეტი, 118 საწარმოსა და ორგანიზაციაში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა გაიზარდა 6,1 ათასი ტონით, ანუ 33 პროცენტით. წინა წლების მსგავსად რესპუბლიკის რიგ ქალაქებში და რაიონებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ზესტაფონი, გარდაბანი და კასპი) კვლავ შეინიშნება საჰაერო აუზის გაჭუჭყიანების მაღალი დონე. გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების კონცენტრაცია ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა სანიტარიულ ნორმებს.

უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა წყალგამოყენება. რამდენადმე შემცირდა სახელმწიფო სარწყავ ქსელში ტრანსპორტირების დროს წყლის დანაკარგები.

გარემოს მდგომარეობაზე სერიოზულ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ავარიები გამო გამოწვეული გაჭუჭყიანება. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების მიერ 1989 წელს რეგისტრირებული წყლის ობიექტების ერთბაშად გაჭუჭყიანების 19 შემთხვევა, რამაც 1,4 მილიონი მანეთის ზარალი გამოიწვია. გასული წლის დეკემბერში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარი ავარიისა და ხანძრის შედეგად ზღვაში ჩაიღვარა 29 ტონა ნავთობპროდუქტები. გარდა ამისა, წლის განმავლობაში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ცენტრალურ გადასატვირთ ბაზაში, რკინიგზის კვანძისა და აჭარის თევზსაჭერ ფლოტში მომხდარი ავარიების ცალკეული მემთხვევების გამო ზღვაში დიდი რაოდენობით ჩაიღვარა ნავთობპროდუქტები.

მძიმე სანიტარიული ვითარებაა მდინარე მაშავერაში, სადაც მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიერ წლის განმავლობაში 3-ჯერ აღინიშნა სპილენძისა და თუთიის იონების ძლიერი გაჭუჭყიანების შემთხვევები. ანალოგიური მძიმე სანიტარიული ვითარებაა მდინარე მტკვრის აუზში თბილისისა და რუსთავის ფარგლებში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და რესურსების დაზოგვა

ბასულ წელს ხორციელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგრამების რეალიზაციის და რესურსების დაზოგვის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სახელმწიფო რეესტრში რესპუბლიკიდან რეგისტრირებულია 600-ზე მეტი გამოგონება.

ახალ სამეურნეო პირობებზე გადასული სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობაში შეიმჩნეოდა გააქტიურება. გაიზარდა ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა სამეცნიერო და საპროექტო სამუშაოების შესრულებაზე, შემცირდა ფინანსირება ცენტრალიზებული წყაროებიდან. აკადემიური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერულ-ტექნიკურ პროდუქციაზე სახელშეკრულებო ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით პრინციპიულად შეიცვალა სამეურნეო ხელშეკრულებების თემატიკა. ამასთან მოკლე ვადებში მაქსიმალური შემოსავლებისადმი დამოდვენებამ რიგ სამუშაოებს მოაკლო მეცნიერული კვლევის სიღრმისეულობა. დადგენილი წესის დარღვევით ბევრ სახელშეკრულებო ფასებს არ გააჩნია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და ისინი არ შეესაბამება დამუშავების მეცნიერულ დონეს. ბევრ სამეცნიერო ორგანიზაციაში ხელფასის ზრდის ტემპი საგრძნობლად უსწრებდა შესრულებული სამუშაოების შედეგებს. 1989 წლის დეკემბრიდან სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციებისათვის შენრერებულია მთავრობის დადგენილების მოქმედება მათი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის შესახებ.

არადამაკმაყოფილებელი რჩება მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. მაგალითად, 10 წელზე მეტი ასაკის მანქანებისა და მოწყობილობების ხვედრითი წილი სამეცნიერო ორგანიზაციებში შეადგენს 27 პროცენტს, საცდელ ბაზებზე — 45 პროცენტს. ორგანიზაციების შეფასებებით, ამ მოწყობილობის (ერთეულის 30 ათასი მანეთზე მეტი ღირებულებით) ხვედრითი წილი, რომლის ტექნიკური დონე აღემატება ან შეესაბამება მსოფლიო დონეს, შეადგენს 24 პროცენტზე ოდნავ მეტს.

საკუთარი საცდელი და ექსპერიმენტული ქვედანაყოფები გააჩნდათ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების 34 პროცენტზე მეტს და უმაღლესი სასწავლებლების 31 პროცენტზე ოდნავ მეტს.

არ შესრულდა სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საცდელ-ექსპერიმენტული ბაზების ექსპლუატაციაში გადაცემის სახელმწიფო შეკვეთა. სამი ობიექტიდან სამუშაოები არ შესრულდა არც ერთში.

მრეწველობაში ათვისებულია და დაიწყო 60-მდე ახალი სახის ნაწარმის გამოშვება. ათვისებულია სინქრონული ჩასაძირი ელექტროძრავების, საზღვარგარეთული ლიცენზიებით დამზადებული ფუდმივი და ცვლადი დენის ელექტროძრავების, ელექტროშემდუღებელი მოწყობილობების, ანალიზური ხელსაწყოების, ლითონმჭრელი ინსტრუმენტების სერიული წარმოება.

მანქანათმშენებლობის კომპლექსში პროდუქციის განახლებამ გასულ წელს მიაღწია 20,4 პროცენტს, რაც 6,2 პუნქტით აღემატება გეგმას.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების 1989 წლის სახელმწიფო მეკვთა რეალიზებულია 62,8 პროცენტით. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების და პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების მიხედვით დავალებები ვერ შესრულეს: საქართველოს სსრ კავშირგამშულობის სამინისტრომ — საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ავტომატიზაციის, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის და გზების სამინისტრომ — უნივერსალური კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის, საქართველოს სსრ სახმშენმა — მზის ენერგიის გამოყენებით რკინაბეტონის და ბეტონის კონსტრუქციების დამზადების; სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსმა“— სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,5 ტონა ტვირთამწეობის სატვირთო მონორელსური გზების დანერგვის.

8 სახის ახალი მანქანა-მოწყობილობიდან არ დაწყებულა 4 დასახელების პროდუქციის მიწოდება, მათ შორის არის იმპულსური მრავალარხიანი კალიბრატორი, უსისხლო მეთოდით ორტერიული წნევის კონტროლის მოწყობილობა, დანადგარები „რეფლექსი“ და „სტერეოტიპი“ ბგერითი, სინათლის და ელექტრონული გამაღიზიანებლით. ყველა ეს მოწყობილობა არ იქნა მიწოდებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ. არ არის მიღწეული ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების დასახული მოცულობები. მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოებში გასულ წელთან შედარებით დანერგილია 64 პროცენტით ნაკლები მოქნილი ავტომატიზებული საწარმოო სისტემა, 58 პროცენტით — რიცხვული პროგრამული მართვის ლითონმჭრელი ჩარხები, 52 პროცენტით — სამრეწველო რობოტები.

მეტალურგიულ კომპლექსში გასულ წელთან შედარებით ხარისხოვანი ნაგლინის წარმოება შემცირდა 2,3 პროცენტით, მილების ანტიკოროზიული დაფარვით — 23,6 პროცენტით, ელექტროფოლადის გამოდნობა — 0,4 პროცენტით. ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ხვედრითმა წილმა მისი გამოშვების საერთო მოცულობაში შეადგინა 7,3 პროცენტი,

გავზარდოთ ეკონომიკური განვითარების დინამიზმი

(დასასრული)

...ნიშნული კომპლექსის საწარმოთა 75 პროცენტმა ვერ შეასრუ... ...ა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება.

მანქანათმშენებლობის კომპლექსი

	ფაქტობრივად 1989 წელს	გეგმის შესრულების პროცენტი	1989 წელი პროცენტებით 1988 წელთან
...ადი დენის ელექტრო... ...ები სიმძლავრით 0,25-...ან 100-მდე კვტ, ათასი კვტ	87,8	67	86
...ერე სიმძლავრის ელექ...ტროძრავები ავტომატიზა...ციის და მექანიზაციისათ...ვის, ათასი ცალი	674	78	89
...ლითონსაჭრელი ჩარხები, ...ცალი	1984	86	86
მათ შორის:			
...რიცხულ-პროგრამული მარ...თვით, ცალი	134	76	96
...დაბალი ძაბვის ელექტრო...ული აპარატურა, მილიო...ნი მანეთი	72,3	100,8	105
...გამოთვლითი ტექნიკის სა...შუალებები და მისი სათა...დარიგო ნაწილები, მილი...ონი მანეთი	42,6	100,1	103
...ელსაწყოები, ავტომატი...ზაციის საშუალებები და ...მისი სათადარიგო ნაწილე...ბი, მილიონი მანეთი	60,1	97	107

მანქანათმშენებლობის კომპლექსის პროდუქციის საერთო მოცულობა განვლილ პერიოდში 1988 წელთან შედარებით 2,1 პროცენტით შემცირდა. ამასთან, 1989 წელს სწრაფი ტემპით იზრდებოდა მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა-დანადგარების, კვების, რძისა და თევზის მრეწველობისათვის. ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მათი სათადარიგო ნაწილების, ავტომატიზაციის საშუალებათა ხელსაწყოების და მათი სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

...ეგმასთან შედარებით ნაკლები იქნა გამოშვებული სასოფლო-...ურნეო მანქანები, ძალური ტრანსფორმატორები, ჩასაძირი ელექტროძრავები.

სახელშეკრულებო ვალდებულებანი კომპლექსის საწარმოებმა 97,9 პროცენტით შეასრულეს, მათ მიერ მიუწოდებელი პროდუქციის მოცულობამ 17,4 მილიონი მანეთი შეადგინა. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია კომპლექსში შემავალი გაერთიანებების და საწარმოების 56 პროცენტმა.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი

	ფაქტობრივად 1989 წელს	გეგმის შესრულების პროცენტი	1989 წელი პროცენტებით 1988 წელთან
მინერალური სასუქები (100%-თან მკვებავ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით) ათასი ტონა	155	102	99
ქიმიური ბოჭკო, ათასი ტონა	37,8	101	95
სინთეზური ამიაკი, ტონა	262	103	98
სინთეზური ფისები და შუალედური პროდუქტი სინთეზური ბოჭკოსათვის (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	39,6	92	101
თერმოპლასტის მილები და წყალგაყვანილობის დეტალები, ტონა	1214	99,5	91
სამკურნალო საშუალებები, მილიონი მან.	62	99	105
ქაღალდი, ათასი ტონა	28	99,4	98
ფუყაო, ათასი ტონა	47	74	81
სასკოლო რვეული, მილიონი ცალი	72	103,3	118

...ომპლექსში შემავალ საწარმოთა თითქმის მესამედმა (31 პრო...ენტმა) ვერ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება (1988 წელს — 18 პროცენტი). მიუწოდებელი პროდუქცია 1988 წელთან შედარებით 3,7-ჯერ გაიზარდა და 1989 წელს შეადგინა 44,7 მილიონი მანეთი. პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი შესრულებულია 95,1 პროცენტით.

სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგმა" ვერ შეასრულა სამკურნალო საშუალებების წარმოების წლიური დავალება (85,8 პროცენტი); ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ: საპოხი მაზუთის (89,4), ტრანსფორმატორის ზეთის (71,7), ნავთობბითუმის (91,9 პროცენტით). სინთეზური სარეცხი საშუალებების წარმოება 1988 წელთან შედარებით შემცირდა 92 ტონით, ანუ 1,6 პროცენტით.

ამასთან, კომპლექსში შემავალმა საწარმოებმა უზრუნველყვეს საავტომობილო ბენზინისა და მინერალური სასუქების წლიური დავალებების შესრულება.

სამშენებლო მასალების მრეწველობა

	ფაქტობრივად 1989 წელს	გეგმის შესრულების პროცენტი	1989 წელი პროცენტებით 1988 წელთან
ცემენტი, ათასი ტონა	1530	98	113
აზბესტცემენტის ფურცლები (შიფერი), მილიონი პირობითი ფილა	35,4	93	136
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, ათასი კუბური მეტრი	1767	95	117
რბილი სახურავი მასალები და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	59,8	65	70

არ შესრულებულა სამშენებლო ინდუსტრიის ძირითადი პროდუქციის: აგურის, ცემენტის, შიფერის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების გეგმიური დავალებანი, ხოლო რბილი სახურავი მასალების და იზოლის წარმოების გეგმიური დავალების შეუსრულებლობასთან ერთად, შემცირდა მათი წარმოება წინა წელთან შედარებით.

მშენებლებმა ვერ მიიღეს 2,6 მილიონი პირობითი ფილა შიფერი, 34,1 ათასი ტონა ცემენტი, 31,7 მილიონი კვადრატული მეტრი რბილი სახურავი მასალები და იზოლი.

არსებული ჩამორჩენა უარყოფითად მოქმედებს სამშენებლო პროგრამის შესრულებაზე და კიდევ უფრო აძლიერებს მის შეუსაბამობას მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან.

აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსის საერთო პროდუქციას მოცულობამ შეადგინა 9551 მილიონი მანეთი (შესადარ ფასებში) და 1988 წელთან შედარებით შემცირდა 2,1 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 5,2 პროცენტით მატების ნაცვლად სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემცირდა 11,2 პროცენტით. მოლიანად მიმდინარე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 0,2 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიან გეგმასთან გაანგარიშებული 10,8 პროცენტისა. საზოგადოებრივ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება 1,7 პროცენტით გაიზარდა, მომუშავეთა რიცხოვნობის 45 ათასი კაცით შემცირებისას. 1989 წელს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მოგებამ 377 მილიონ მანეთს გადააჭარბა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობამ შეადგინა 16 პროცენტი. გაიზარდა ზარალიანი მეურნეობების რიცხვი და შეადგინა 162 (კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საერთო რიცხვის 11,5 პროცენტი).

1989 წელს გაიზარდა კარტოფილის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება. ამასთან, 1988 წელთან შედარებით ნაკლები იქნა მიღებული მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეულის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების მოსავალი.

ძირითადად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთლიანი მოსავალი ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (ათასი ტონა):

	საშუალოდ წელიწადში 1981—1985 წწ.	1986—1989 წწ.	1988 წ.	1989 წ.
მარცვლეული კულტურები — სულ:				
პირვანდელ საბუნებერო წონაში	601,1	625,1	714,2	484,2
გაწმენდის შემდგომ წონაში	583,8	607,3	691,7	474,7
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	102,1	48,6	51,2	39,3
მზესუმზირა	8,0	7,6	16,9	2,6
კარტოფილი	392,6	346,5	326,2	332,4
ბოსტნეული და ბაღჩეული	630,0	656,2	685,3	550,5
ხილი და კენკრა	652,1	658,6	653,0	604,2
ციტრუსი	289,6	251,8	436,9	85,4
ყურძენი	786,9	614,2	619,7	514,1

1989 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ (პირვანდელი საბუნკერო წონით) ერთ ჰექტარზე შეადგინა 21,9 ცენტნერი, ნაცვლად 26,2 ცენტნერისა 1988 წელს.

სახელმწიფო რესურსებს შეემატა 19,4 ათასი ტონა მარცვალი, ანუ 20,6 ათასი ტონით ნაკლები, ვიდრე გათვალისწინებული იყო სახელმწიფო შეკვეთით.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გასულ წელს შემცირდა ბოსტნეულის წარმოება: ლაგოდეხის რაიონის მეურნეობებში — 64 პროცენტით, სამტრედიის — 47, ხაშურის — 44, გარდაბნის— 41, მარნეულის — 36, ბოლნისის — 30, გურჯაანის — 21, ქალაქ წყალტუბოს ზონაში — 41 პროცენტით.

ბოსტნეულის მთლიანი მოსავლის შემცირების შედეგად 1988 წელთან შედარებით მისი შესყიდვა შემცირდა 145,1 ათასი ტონით, ანუ 36 პროცენტით. კარტოფილი 1989 წელს შესყიდულია 137,6 ათასი ტონა, რაც 9,9 ათასი ტონით (7 პროცენტით) ნაკლებია, ვიდრე 1988 წელს.

საერთო საკავშირო ფონდში 1989 წლის ბოსტნეულის მიწოდების დავალება შესრულებულია 41 პროცენტით, კარტოფილის — 42 პროცენტით, ხილი და კენკრა შესყიდულია 372,6 ათასი ტონა (წინა წელს 486,2 ათასი ტონა), ყურძენი — 336,6 ათასი ტონა (459,9 ათასი ტონა).

წარმატებით დაამთავრეს გასული წელი რესპუბლიკის მეჩაიეებმა. გადამამუშავებელ ქარხნებს ჩაბარდა 495,7 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 37,4 ათასი ტონით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. სახელმწიფო დამზადების გეგმა შესრულა მეჩაიეობის ყველა რაიონმა.

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხასიათდება შემდეგნაირად:

	საშუალოდ წელიწადში 1981—1985 წწ.	1986—1989 წწ.	1988 წ.	1989 წ.
ხორცი (დაკლულ წონაში), ათასი ტონა	153,9	172,5	172,1	171,2
რძე, ათასი ტონა	656,0	723,9	730,5	719,1
კვერცხი, მილიონი ცალი	746,9	878,9	890,2	858,6
მატყლი (ფიზიკურ წონაში), ათასი ტონა	6,1	6,4	6,8	6,5

1989 წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება საგრძნობლად შემცირდა ამბროლაურის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ზუგდიდის, თეთრწყაროს, მარნეულისა და სიღნაღის რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ფუიჩისა და ფურკამეჩის საშუალო ნაწველმა შეადგინა 1805 კილოგრამი, ანუ 60 კილოგრამით ნაკლები, ვიდრე 1988 წელს.

ერთ სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარებამ შეადგინა 49 კილოგრამი (ქონისა და სუბპროდუქტების გარეშე — 45 კილოგრამი), რძის — 330 კილოგრამი, კვერცხის — 156 ცალი.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1986-1989 წწ. (საშუალოდ წელიწადში)	1988 წ.	1989 წ.
პირუტყვი და ფრინველი, ათასი ტონა:			
ცოცხალ წონაში	183,8	185,6	181,6
დაკლულ წონაში	119,2	119,4	116,6
რძე, ათასი ტონა	299,9	305,3	294,2
კვერცხი, მილიონი ცალი	595,7	610,0	566,2
მატყლი, (წმინდა ბოჭკოზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	3,9	4,2	4,0

სახელმწიფოზე პირუტყვისა და ფრინველის მიწოდების გეგმა ვერ შეასრულა რესპუბლიკის 19 რეგიონის მეურნეობებმა, რძის— 32 რეგიონის, მათ შორის მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ: პირუტყვისა და ფრინველის მიწოდებაში — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალციხის, მესტიის, წალკის რაიონების მეურნეობები, რძის — ასპინძის, ბოლნისის, ბორჯომის, მარნეულის, საგარეჯოს, ყვარელისა და ხაშურის რაიონების მეურნეობები.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში აღინიშნება მეცხოველეობის პროდუქტების შესამჩნევი დანაკარგები, რაც ძირითადად გამოწვეულია პირუტყვის დიდი რაოდენობით დაცემითა და დედა პირუტყვის მაღალი ბერწიანობით.

პირუტყვის სულადობამ შეადგინა (1 იანვრისათვის; ათასი სული)

	ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1989 წ.	1990 წ.	მათ შორის მოსახლეობაში 1989 წ.	1990 წ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1547,8	1427,3	938,0	877,1
მათ შორის ძროხა	620,2	584,4	452,6	428,7
ღორი	1099,2	1026,9	606,6	580,0
ცხვარი და თხა	1894,0	1795,2	881,1	836,0

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა მხოლოდ თელავის რაიონში, ძროხის — ახმეტის, ბოლნისის, გურჯაანის, ზუგდიდის, სიღნაღის, ქარელის და ხობის რაიონებში, ღორის — აბაშის, ახალციხის, ახმეტის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, სენაკის, ყვარელის, ჩოხატაურის და წალკის რაიონებში, ცხვრის და თხის — გურჯაანის, დუშეთის, თიანეთის და მარნეულის რაიონებში.

რესპუბლიკის მთელი რიგი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს პირუტყვი გამოზამთრებისათვის საჭირო საკვებით. უხვი და ვნებინი საკვები დაამზადეს საგრძნობლად ნაკლები, ვიდრე 1988 წელს ასპინძის, ახმეტის, ბოლნისის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების სოზგადოებრივმა მეურნეობებმა.

გასულ წელს რესპუბლიკის სახაგრომრეწვამ 1988 წელთან შედარებით მიიღო 286 ცალით ნაკლები სატრაქტორო სათესი, 205 ცალით ნაკლები სატრაქტორო კულტივატორი, 115 ცალით ნაკლები სილოსისა და საკვების ასაღები კომბაინი, 450 ცალით ნაკლები სატრაქტორო სათიბი, 103 ცალით ნაკლები. ნიადაგში მყარი მინერალური სასუქების შემტანი მანქანები 75 ცალით ნაკლები. დასაწვიმებელი მანქანადანადგარები. 1989 წელს სოფლის მეურნეობას მიეწოდა 75,7 ათასი ტონით ნაკლები მინერალური სასუქები ქიმიური დანამატების ჩათვლით, ვიდრე წინა წელს.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე, იმ დარგების ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობას წარმოების საშუალებებით, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე გამოყენებულია 911,8 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება, ანუ სახალხო მეურნეობაში დაბანდებული მთლიანი მოცულობის 36 პროცენტი.

კომპლექსში დაბანდებულ საშუალებათა 54 პროცენტი მიმართული იყო სოფლის მეურნეობაში საწარმოო ობიექტებისა და მისი სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიერ აშენებულია 40,5 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ გეგმასთან შედარებით 58 და წინა წელთან შედარებით 15 პროცენტით ნაკლები. გარდა ამისა, ვერ შევიდა მოქმედებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები — გეგმით გათვალისწინებულის 24 პროცენტი, სკოლამდელი დაწესებულებები — 51 პროცენტი, პოლიკლინიკები — 76 პროცენტი, კლუბი და კულტურის სახლები — 67 პროცენტი. ვერ ჩაბარდა საექსპლოატაციოდ მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკები 152 ათას კვერცხლმდებელზე, სადგომები მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის, ღორებისა და ცხვრებისათვის 70 ათას ადგილზე, კარტოფილის, ბოსტნეულის და ხილის საცავები — 182 ათასი ტონა ერთდროული ტევადობით, მინერალური სასუქების და შხამქიმიკატების შესანახი მექანიზებული საწყობები — 30 ათასი ტონა ერთდროული ტევადობით, 65 მილიონი პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოების სიმძლავრეები, დამშრალი მიწები 0,4 ათას ჰექტარზე, სარწყავი მიწები — 0,2 ათას ჰექტარზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი დარგების განვითარებაზე გამოყენებულია 89 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება, ანუ წლიური ლიმიტის 70 პროცენტი, რაც აგროსამრეწველო კომპლექსის კაპიტალური დაბანდების 9,8 პროცენტს შეადგენს. 1989 წლის სახელმწიფო დაკვეთით გათვალისწინებული 7 ობიექტიდან ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ ერთი. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდებოდა ხილბოსტნეულის კონსერვებისა და ხორცის წარმოების სიმძლავრეების მშენებლობა.

მელიორაციულ მშენებლობაზე გეგმასთან შედარებით გაწეული იქნა 6,4 ათასი მანეთით, ანუ 5 პროცენტით მეტი დანახარჯები.

კაპიტალური მშენებლობა

დაფინანსება ყველა წყაროს ხარჯზე, ათვისებულია 2795 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებები, მოქმედებაში შევიდა 2137 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები.

გრძელდებოდა საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრების მიზიდვა კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაზე. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობაში მათმა ხვედრითმა წილმა შეადგინა 34 პროცენტი, ნაცვლად 24 პროცენტისა 1988 წელს.

მოქმედ საწარმოო აპარატში რეკონსტრუქციისა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე გამოყენებულია 555 მილიონი მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები, რაც წარმოების განვითარებაზე გაწეული ყველა ხარჯების თითქმის მესამედს შეადგენს.

ამასთან, 1989 წელს კიდევ უფრო გაიზარდა საგეგმო დავალებათა შესრულების საქმეში კაპიტალური მშენებლობის ქრონიკული ჩამორჩენა. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე ძირითადი ფონდების ამოქმედების წლიური დავალება (საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმების ჯამი) შესრულდა 60 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 1166 მილიონი მანეთით მატების ნაცვლად, მათი ამოქმედება შემცირდა 93 მილიონი მანეთით.

ჩაშლილია უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების პროგრამა. სახელმწიფო შეკვეთის 17 ასამოქმედებელი ობიექტიდან ექსპლოატაციაში ჩაბარდა მხოლოდ 5, მათგან 2 ობიექტის ამოქმედება გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1988 წელს.

სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში საექსპლოატაციოდ ვერ ჩაბარდა სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებული 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინა თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში.

მანქანათმშენებლობის კომპლექსში ვერ ამოქმედდა სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებული თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის საწარმოო სიმძლავრე, რომელიც ითვალისწინებს 630 სამრეწველო რობოტის წარმოებას წელიწადში.

სამშენებლო კომპლექსში ექსპლოატაციაში ჩაბარდა სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებული სიმძლავრეები: 4 მილიონი კვადრატული მეტრი ლინოლეუმის წარმოებისა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მრეწსაშენმასალების" თბილისის სამშენებლო მასალების კომბინატში, 40 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და პანელების წარმოებისა სამეცნიერო-საპროექტო გაერთიანება „საქმრეწსამოქალაქომშენის" № 2 ტრესტის საწარმოო კომბინატში და 36 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გათვალისწინებული კონსტრუქციების წარმოებისა, გაერთიანება „თბილქალაქმშენის" თბილისის № 1 სახლმშენებელ კომბინატში.

ამასთან, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს გორის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში არ ამოქმედებულა 32,4 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოების სიმძლავრე.

მსუბუქ მრეწველობაში თბილისის უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6,5 მილიონი კვადრატული მეტრი უქსოვადი ქსოვილების გამოსაშვები სიმძლავრისა, ამოქმედდა მხოლოდ 5,5 მილიონი კვადრატული მეტრის წარმოების სიმძლავრე.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულია 1464,4 მილიონი მანეთის **საიჯარო სამუშაოები**, ანუ გეგმის 93 პროცენტი. 1989 წელს ჩასაბარებელ ობიექტებზე — 663,8 მილიონი მანეთის, ანუ 91 პროცენტი. ასამოქმედებელ ობიექტებზე წლიური გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყო რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციათა უმეტესობამ, მათ შორის ოსეთმა მთავარმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა გაერთიანება „საქმრეწსამოქალაქომშენი", რესპუბლიკური გაერთიანება „საქბაგრომშენი", საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენი", ტრესტები „საქსოფლელექტრომშენი", „ინჟმშენი" და ზოგიერთი სხვა. საწარმოო დანიშნულების სახელმწიფო შეკვეთის ობიექტებზე საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულებას დააკლდა 2,5 მილიონი მანეთი.

სამშენებლო პროგრამის ჩაშლაზე არსებითი გავლენა მოახდინა მშენებლობის მატერიალური რესურსებით მომარაგებაში მდგომარეობის გაუარესებამ. ეს უკანასკნელი კი გამოწვეული იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთან მომწოდებლების მიერ სამშენებლო მასალების არასრულად და შეფერხებებით მოწოდებების გამო, აგრეთვე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების მიერ ბევრი სახეობის სამშენებლო მასალების წარმოების გეგმიური დავალებების შეუსრულებლობით.

გართულდა მშენებლობის კადრებით დაკომპლექტება. მთლიანად რესპუბლიკაში სამშენებლო-საწარმოო პერსონალის რიცხვი წინა წელთან შედარებით 7 ათასზე მეტი კაცით შემცირდა.

სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ათვისებულია 2498 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება, ...ბ...ბ... 89 პროცენტი, მათ შორის 1657 მილიონი მანეთი (92 პროცენტი) ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები, 841 მილიონი მანეთი (82 პროცენტი) საწარმოთა საკუთარი სახსრები. წინა წელთან შედარებით სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების მოცულობა შემცირდა 17 პროცენტით, საწარმოთა საკუთარი სახსრებით მშენებლობა კი გაიზარდა 30 პროცენტით.

მანქანათმშენებლობისა და ქიმიურ-სატყეო კომპლექსებში, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესს, ვერ იქნა ათვისებული სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები, შესაბამისად, 7,5 მილიონი მანეთი (17 პროცენტი) და 9,5 მილიონი მანეთი (45 პროცენტი).

მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ფაქტიურმა მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ამოქმედებული ძირითადი ფონდების მოცულობას— 721 მილიონი მანეთით (624 მილიონი მანეთით სპეციალური სამინისტროების საწარმოების და ორგანიზაციების მონაცემების გათვალისწინებით), რამაც გამოიწვია დაუმთავრებელი მშენებლობის გაზრდა. 1989 წლის ბოლოსათვის მისმა მოცულობამ მიაღწია 3 549 მილიონ მანეთს, მათ შორის ზენორმატიულმა — 1748 მილიონ მანეთს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მატერიალური და ფინანსური რესურსების დეფიციტს. კაპიტალური დაბანდებების წლიური მოცულობის მიმართ დაუმთავრებელმა მშენებლობამ შეადგინა 152 პროცენტი, ნაცვლად ნორმატიული 75 პროცენტისა.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

საერთო სარგებლობის ტრანსპორტით **ტვირთის გაგზავნა** 1989 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1989 წ. მილიონი ტონა	1989 წელი პროცენტებით 1988 წელთან
ტრანსპორტი სულ	238,6	91,1
მათ შორის:		
რკინიგზის	47,5	87,6
მილსადენის (ნავთობი და ნავთობპროდუქტები)	0,3	71,0
საზღვაო	9,4	95,0
საავტომობილო	181,4	91,9
საავიაციო, ათასი ტონა	11,6	104,5

ამიერკავკასიის რკინიგზამ ტვირთის გაგზავნის სახელმწიფო შეკვეთა შეასრულა 96,9 პროცენტით, მათ შორის რესპუბლიკის ტერიტორიაზე — 94,0 პროცენტით. ვერ იქნა უზრუნველყოფილი 1,5 მილიონი ტონა ტვირთის გაგზავნა, ტვირთის გაგზავნის დავალება ვერ შეასრულეს რესპუბლიკის საერთო სარგებლობის ავტომატარანსპორტო საწარმოებმა (გეგმა შესრულდა 96,9 პროცენტით). საზღვაო ტრანსპორტმა ტვირთის გაგზავნის დავალება შეასრულა 104,9 პროცენტით, მათ შორის საზღვარგარეთ ნაოსნობისას — 104,6 პროცენტით.

საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ტონა ტვირთის გადატანის საშუალო მანძილი 1988 წელთან შედარებით გაიზარდა 5,5 პროცენტით და შეადგინა 396 კილომეტრი.

მგზავრთბრუნვამ, ყველა სახეობის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით შეადგინა 17,1 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი, რაც 6 პროცენტით ნაკლებია 1988 წელთან შედარებით, მათ შორის რკინიგზის, შესაბამისად, 3,2 და 16,1, ავტობუსების — 8,5 მილიარდი და 6,7 პროცენტი. მგზავრთბრუნვა საავიაციო ტრანსპორტზე გაიზარდა 3,1 პროცენტით და შეადგინა 5,3 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი. რკინიგზის ტრანსპორტმა გეგმა შეასრულა 81 პროცენტით, საავიაციომ — 102,1 პროცენტით. 1989 წელს საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გადაყვანილი იქნა 796,7 მილიონი მგზავრი, რაც 6,7 პროცენტით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

საერთო სარგებლობის ავტობუსებით და მსუბუქი ტაქსებით მგზავრების გადაყვანიდან შემოსავლებმა შეადგინა 206,1 მილიონი მანეთი. გეგმა არ შესრულდა (94,4 პროცენტი).

არ გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურების ხარისხი. 1989 წელს რეისის შეცვლასთან დაკავშირებით არ ჩასულა ან დაგვიანებით ჩავიდა მატარებლების (საგარეუბნოს გარდა) 31 პროცენტი, თვითმფრინავების და ვერტმფრენების — 20, ავტობუსების — 12 პროცენტი.

დილის საათებში კვლავ ადგილი აქვს საგარეუბნო მატარებლების დანიშნულების საბოლოო პუნქტში მასიურად დაგვიანებით ჩასვლას.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შედეგებზე ნეგატიურად იმოქმედა რკინიგზის ბლოკირებამ, გაფიცვებმა. აგრეთვე საექსპლოატაციო მუშაობის დონის შემცირებამ.

ვაგონების საშუალო მოცდენი გაიზარდა საწარმოებში: „საქმთავარწყალმშენის" — თითქმის 2-ჯერ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს — 19,5 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს — 15, საქსახგრომრეწვის — 6,2 პროცენტით.

საბაგირო გზებით გადაყვანილია 4,8 მილიონი მგზავრი, რაც გეგმის 102,2 პროცენტია და 4,9 პროცენტით მეტია, ვიდრე 1988 წელს.

მაგისტრალური გაზსადენის ყარადაღი-თბილისი-ორჯონიკიძე მონაკვეთიდან რესპუბლიკას მიეწოდა 6053,3 მილიონი კუბური მეტრი სასაქონლო გაზი, რაც გეგმაზე 2,2 პროცენტით ნაკლებია და 5,8 პროცენტით მეტია, ვიდრე 1988 წელს.

1989 წელს გზატკეცილებსა და ქუჩებში მიმდინარი ავტოსატრანსპორტო ავარიებისა და შემთხვევების რიცხვი 1988 წელთან შედარებით გაიზარდა 9,4 პროცენტით და შეადგინა 2621 ერთეული, დაღუპულთა რაოდენობა გაიზარდა 19,3 პროცენტით და შეადგინა 797 კაცი, დაზიანებულთა — შესაბამისად 9,6 პროცენტი და 3070 კაცი. ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და მათში დაღუპულთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, ქალაქ თბილისში, გარდაბნის, კასპის, თელავის, წალკის, სიღნაღის, ზუგდიდის და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

საერთო სარგებლობის რკინიგზის ტრანსპორტზე 1989 წელს მოხდა მოძრავი შემადგენლობის 9 ავარია და მარცხი, რის შედეგადაც . დაზიანდა 5 კაცი.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა მოსახლეობას გაუწიეს 58,9 მილიონი მანეთის მომსახურება, რაც 2,6 პროცენტით აღემატება 1988 წელს. გეგმა შესრულდა 94,7 პროცენტით.

საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის ძირითადი ტელეფონის აპარატების რაოდენობა 1990 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1989 წლის 1 იანვართან შედარებით გაიზარდა 23,9 ათასით (4,9 პროცენტით) და შეადგინა 509,5 ათასი (გეგმა შესრულდა 46,9 პროცენტით), ამასთან, განცხადებების რაოდენობა საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელში ბინაზე ტელეფონის დადგმაზე არ მცირდება და 300 ათასზე მეტია.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობა

1989 წელს საექსპორტო მიწოდებას აწარმოებდა 23 საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების 96 საწარმო და ორგანიზაცია. მათ მიერ მოწოდებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 225,4 მილიონი მანეთი. საექსპორტო მიწოდების გეგმა შესრულდა 86,9 პროცენტით. რესპუბლიკური საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „საქმპვეკსის" მეშვეობით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს მიეწოდა 2,1 მილიონი მანეთის პროდუქცია უცხოურ ვალუტაზე.

1989 წელს რესპუბლიკიდან სახაგრომრეწვის ორგანიზაციების მიერ სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „სამების" შუამდგომლობით პოლონეთში გატანილია 7,7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1989 წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 31 ერთობლივი საწარმო, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკური ორგანიზაციებისა და უცხოური ფირმების მონაწილეობით, მათ შორის ფუნქციონირებს 20.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი

შეპირაპირება ორბიტაზე

საკდესის ცნობა

1990 წლის 13 თებერვალს, მოსკოვის დროით 9 საათსა და 38 წუთზე „სოიუზ ტმ-9" პილოტირებული ხომალდი შეუპირაპირდა „მირ" ორბიტულ კომ

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად არჩეულ მდივანს ᲕᲐᲟᲐ ᲒᲣᲠᲑᲜᲔᲚᲘᲫᲔᲡ.

— პატივცემულო ვაჟა, რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ტელევიზიურებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ბადაცემას თქვენი მონაწილეობით, გაეცნო თქვენს შეხედულებებსა და მიზნებს. ამის მარტოოდენ ცნობიერმოყვარეობით ვერ ავხსნით. მოგეხსენებით, ძალზე რთულ დროში ვცხოვრობთ, ბევრი პრობლემა დგეროდა და ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გეგმებს ვიხილავთ, რა საშუალებებს მივმართავთ მრავალწლიანი ყაწალის გადლობისა და რეალური მოქმედებისათვის სადღეისოდ შექმნილ უჩვეულოდ ფინანსიურ ვითარებაში. სწორედ ამიტომ ტელეინტერვიუსაგან განსხვავებული კითხვებიც გვექნება.

— დიახ, ეს აუცილებელიცაა. სულ ახლახან მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც, ალბათ, არა მარტო მე, არამედ სხვებიც, საკმაო იმედით აღგვავსო. საქმე ეხება მთლიანად პარტიის, მისი სტრუქტურების, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეთოდების რადიკალურ გარდაქმნას, სრულ დემოკრატიზაციას, პოლიტიკურ მონოპოლიზმზე უარის თქმასა და პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებას, ხალხის საჭიროებისაკენ მთელი კურსით შემობრუნებას. ეს ეტაპობრივი მნიშვნელობის საკითხებია. ვფიქრობთ, ყველაფერს ის გადაწყვეტს, თუ პარტიის XXVIII ყრილობის წინ და მის შემდგომ პერიოდში რამდენად შეეძლები თვითგანწმენდას, ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური აზრონვნების გამარჯვებას და რეალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში კონკრეტული, სერიოზული პროგრესის მიღწევას.

— გამოდის, რომ სახარბიელო მეწყვიდრეობა როდი გვერგო, ბევრი რამ სულ ახლებურად უნდა ვაკეთოთ.

— დიახ, რევოლუციური გარდაქმნები გრძელდება, და ჩვენი ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ავუღებთ ალღოს ეპოქის მაჯისცემას, რამდენად გვეყოფა პოლიტიკური კულტურა, რეალიზმის გრძნობა, თუ გნებავთ, პასუხისმგებლობის, მოთმინებისა და პროგნოზირების უნარი. გუშინ და გუშინწინ გადასაწყვეტს ხვალ და ზეგ არ უნდა ვწყვეტდეთ. მე პირადად კარგად მაქვს შეგნებული, რა ტვირთიც დამაწვა მხრებზე, რა პასუხისმგებლობა ვიკისრე. ისე კი, როცა ასეთ რთულ დროში გენდობიან, როცა ჩემს ხალხს ასე რიგად სჭირდება თანადგომა, უფლება არა მაქვს ოდნავადაც კი თავი დავზოგო. ვნახოთ, როგორც იტყვიან, ღმერთია შემწე.

— თქვენ მთელი ოცი წელიწადი სამეცნიერო და პედაგოგიურ სფეროში, უნივერსიტეტში მუშაობდით. ერთი შეხედვით, ის გზა არა გაქვთ გავლილი, როგორიც ტრადიციულ პარტიულ მუშაკებს აქვთ ხოლმე. როგორ გგონია, ხელს ხომ არ შეგიშლით ეს მუშაობაში?

— არა მგონია სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა და ისიც უნივერსიტეტში ვინმეს რამეში ხელს უშლიდეს. მთავარი, ჩემი აზრით, ის კი არ არის, კაცმა რა თანამდებობები გამოიცვალა, არამედ ის, თუ რა გზა და როგორ გამოიარა, რა კვალი დატოვა: ნათელი და სასარგებლო, თუ ბუნდოვანი და საეჭვო.

ისე კი, არ შეშმინდა სიმამაცით არ ვთქვა: თუ სწავლის წლებსაც მივთვლით, მეოთხედ საუკუნეზე მეტი მაკავშირებს უნივერსიტეტთან. თანაც, მოგეხსენებათ, თბილისის უნივერსიტეტი ბევრად მეტს ნიშნავს ქართველი კაცისთვის, ვიდრე ჩვეულებრივი სასწავლებელი. სადაც უნდა ვყოფილიყავი, ფესვები სწორედ უნივერსიტეტში მქონდა და ეს ფესვები ახლაც მასაზრდოებს. იმ ბედნიერებას რა შეედრება, როცა სტუდენტების თვალებში საქართველოს სატკივარს, მის სიხარულსა და ბედს ამოიკითხავ. სწორედ ამიტომ ახალგაზრდობასთან სისტემატური კონტაქტი მუდმივ მოთხოვნილებად დამრჩა.

ვფიქრობ, თუ რაიმე გამომადგება ჩემს მუშაობაში, უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს.

— ჩვეულებისამებრ, როცა ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ, მით უმეტეს მდივნად ვინმეს აწინაურებენ, მოსკოვში ხდება ხოლმე ხელდასხმა. თუ საიდუმლო არ არის, თქვენ ვის შეხვდით მოსკოვში და რაზე გქონდათ საუბარი?

— მინდა გოგახსენოთ, რომ ეროვნული განვითარების კონცეფცია მარტო პარტიული დოკუმენტი არ არის. თავიდანვე მის შემუშავებაში მონაწილეობდა ჩვენი მეცნიერების, შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, 100 კაცზე მეტი. ის საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა და სულ ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებულია ჩვენი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის ძალზე ბევრი შენიშვნა და წინადადება.

რამდენად რეალურია ამ კონცეფციის განხორციელება? ვფიქრობ, რომ იგი რეალურია. კონცეფცია მარტო სურვილი და პოზიცია კი არა, სამოქმედო პროგრამაა. თანაც, ეს ცოცხალი, მოქმედი დოკუმენტია, მუდმივად

სიმართლე, რეალიზმი, ეროვნული პრობლემები

მყავს, მთა და სამხრეთ საქართველო დაგვეცალა, ბავშვებს ქართული ენის მასწავლებელი და ექიმი არა ჰყავთ, მე კი თბილისის ქუჩებს ვერ ვცილდები, ეს როგორი პატრიოტიზმია?

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ჩვენი წილი ეროვნული ტვირთი, თანაც უდიდესი პასუხისმგებლობით, ყველამ უნდა ვზიდოთ, ჩვენს გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს.ამ ეროვნულ სხეულს არ შეიძლება ერთი აგურიც რომ მოაკლდეს. აი, მე ასეთი, ზოგადაკაცობრიულ იდეალებზე, სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული იდეოლოგიის მომხრე ვარ.

შევეცადეთ ყველაფერი ეს აგვეხსნა ეროვნული განვითარების ცონცეფციაში,

— ეროვნული განვითარების კონცეფცია ხალხმა მოიწონა. მაგრამ რამდენად რეალურია მისი განხორციელება?

— ჯერ ორიოდ სიტყვა თვით კონცეფციის შესახებ, რომლის სარედაქციო ჯგუფს მე ვხელმძღვანელობდი. აპრილის ტრაგედიის შემდეგ ადარავისთვის დარჩა საეჭვო, რომ პარტიას თავის უმთავრეს ამოცანად სწორედ მომწიფებული, ზოგჯერ კი უკვე დიდი ხნით დაგვიანებული, ეროვნული პრობლემების კონსტრუქციული გადაწყვეტა უნდა მიეჩინა.

სხვანაირად ცხოვრება ალარ შეიძლება. წარსულს ჩაბარდა იმის არცთუ უსაფუძვლო შიში, რომლებიც ბევრი იყო შეპყრობილი, — ეროვნულ პრობლემებზე ხმის ამოღებას ნაციონალიზმად ჩაგვითვლიანო. არ დაგიმალავთ, მეც დამტეხია თავს ზოგიერთი ადგილობრივი თუ უფრო ფართო მასშტაბის მოღვაწის რისხვა: ამას რას შვრებით, ეს როგორ შეიძლებაო. ამ ხალხს, საუბედუროდ, ავიწყდებოდა, რომ ყველაზე ამაღლებული, ყველაზე ჰუმანური იდეალები სამშობლოს სიყვარულით იწყება და თუ ის შენი ხატი არ არის, ისე ილუზიაა სხვათა პატივისცემაც. ეროვნულ ხეს გვიკაფავდნენ, ხშირად ფესვებსაც აჭრიდნენ და თან კარგი და მრავალფეროვანი ნაყოფის მიღება სურდათ.

რა ნაყოფიც მივიღეთ, ამას დღეს ყველა რესპუბლიკის მაგალითზე კარგად ვხედავთ.

ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ ეროვნული განვითარების კონცეფცია მარტო პარტიული დოკუმენტი არ არის. თავიდანვე მის შემუშავებაში მონაწილეობდა ჩვენი მეცნიერების, შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, 100 კაცზე მეტი. ის საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა და სულ ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ საბოლოო ვარიანტში მათემატიკა. 18.30 — სატელევიზიო დადგმა „შვილიშვილები“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გაგრძელება“.

დაიბეგეწება და გამდიდრდება თვით დღევანდელი ცხოვრების დინამიზმის შესაბამისად. რასაკვირველია, ბევრი დაბრკოლებაც იქნება გადასალახი, მაგრამ ნათელი მიზნისაკენ მიმავალი გზა არასოდეს ყოფილა ია-ვარდით მოფენილი.

აუცილებელია პარლამენტური ბრძოლა, ჩვენი სიმართლის უტყუარი არგუმენტებით დასაბუთება და, რაც მთავარია, მთელი ჯანსაღი ძალების შეკავშირება. ძალა ხომ ერთობაშია!

მე იმედით ვუყურებ მომავალს. დღეს თითქმის ყოველდღე ისეთი ამბები ხდება, ადრე წარმოუდგენელი რომ იყო. ახალ პირობებში რესპუბლიკის პარლამენტის მხოლოდ ერთი სესია ჩავატარეთ, ისიც ძველი ტრადიციული შემადგენლობის პარლამენტისა, და, როგორც იცით, ბევრი სრულიად ახლებური გადაწყვეტილება მივიღეთ.

— რა შეხედულებისა ხართ ახალგაზრდობის აღზრდის პროცესის იდეოლოგიაზე? დღეს ბევრს ლაპარაკობენ, რომ არ არის სწორი, როცა ბავშვების იდეოლოგიური დამუშავება ლამის სამბავშვო ბაღიდან იწყება.

— ჩვენი ღრმა რწმენით, ბავშვები უპირველესად ზოგადაკაცობრიულ, ეროვნულ იდეალებზე უნდა იზრდებოდნენ. მათ თავიდანვე უნდა იცოდნენ რა არის სამშობლო და ნამდვილი პატრიოტიზმი, რა არის სიკეთე, ვაჟკაცობა, ესმოდეთ შეგონება — „არა კაც ჰკლა“, „გაეკვარდეს მოყვასი მენი“. ეს უნდა იყოს ბავშვისა და ყმაწვილის იდეოლოგია.

სხვათა შორის, იაკობ გოგებაშვილის დედა ენის ყოველი მოთხრობა თუ ანდაზა, ცალკე თავები ზნეობაზე, ქვეყნისათვის თავდადებულ ქართველებზე, თუნდაც „იავნანამ რა ჰქნა“ თუ „მკვეხარა ქოთანი“, სწორედ ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

ან რატომ არ უნდა ვასწავლიდეთ ბავშვებს ჩვენი ფოლკლორის შესანიშნავ ნიმუშებს, განაცუდი ფილოსოფია და იდეოლოგიაა, ვთქვათ, ეეფხისა და მოყმის ბალადა?

აქ დიდი როლი აკისრია ოჯახსაც და ჩვენს ძირძველ, ზოგჯერ, სამწუხაროდ, მივიწყებულ აქა-იქ გაყალბებულ ტრადიციებს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ისეთი იდეოლოგიისა, როცა 8-10 წლის ბავშვებს მოგვიწოდებდნენ: ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზადო, და ჩვენც გაუცნობიერებლად ვასაუბრობდით — მზად ვარ! ამ დროს არც ერთი ვიცოდით ვინ იყო, არც მეორე, და მით უმეტეს მათი საქმე, რომლისთვის საბრძოლველადაც მზადყოფნას ვაცხადებდით.

მოკლედ, პოლიტიკურ თემაზე მხოლოდ სრულწლოვან, მომწიფებულ ახალგაზრდობას შეიძლება ესაუბრო, ხოლო გზა და მრწამსი თვითონ უნდა აირჩიოს. ადამიანის პიროვნების ყველაზე დიდი ბედნიერება თავისუფლებაა, და მისი წართმევა, ან მასზე ძალით ზემოქმედება ყველაზე დიდი უფლებაშელახვაა.

— როგორ უყურებთ ეროვნულ მოძრაობას საქართველოში, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ?

— დიდმა ილიამ „მგზავრის წერილებში“ თქვა: მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თორგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემიო. ასე რომ, მე ყოველგვარ მოძრაობას, მით უმეტეს ეროვნულს, დადებითად ვუყურებ, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასეთი მოძრაობა არ იყოს. გთხოვთ სწორად გამიგოთ, მე თავს ამ მოძრაობის ერთ-ერთ მონაწილედ ვთვლი. სხვა საკითხია, სით მიდის, როგორია ეს მოძრაობა, მისი შინაარსი და ფორმა.

აქ, ჯერ ერთი, იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა არასოდეს შეწყვეტილა, მაშინ დაეიღუპებოდით კიდეც. იგი ხან თვლედა, ძილღვიძილში იყო, ხან უცაბედ იფეთქებდა (გიახსენეთ 1956 და 1978 წლები), ან რით არ იყენენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გალაკტიონი თუ ტიციანი, ან რით არ არის ეროვნული მოძრაობა მუხრან მაჭავარიანის „ცოკლიდან „1832“, ბატონ რევაზ თაბუკაშვილის შეუდარებელი კინოლენტები და გამოსვლები, ჩვენი შესანიშნავი ქართული ფილმები, თეატრალური დადგმები, კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება. საბედნიეროდ, საკმაოდ მდიდარია ჩვენი სულიერი საგანძური,

აქ განსხვავება ის არის, რომ ადრე ეროვნული მოძრაობა უფრო პიროვნულ ხასიათს ატარებდა, ეროვნულ უღელს ცალკეული პიროვნებები ეწეოდნენ, რაც უდიდესი გმირობა იყო. ახლა კი, და ეს არის სწორედ მთავარი, ეს მოძრაობა საზოგადო გახდა, მეტნაკლებად მისი ყველა ფენა მოიცვა და დამუხტა. ეს თვისებრივად ახალი ეტაპია და, ჩემი აზრით, უპირველესად გარდაქმნამ და დემოკრატიზაციამ მოგვიტანა.

ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ ეროვნული მოძრაობა უფრო კონსოლიდირებული, მიზანმიმართული, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი, უფრო ზნეობრივი და ამაღლებული იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ მაღალი იდეალები და ზნეობა, სუფთა ხელები და გული მიგვიყვანს ნათელ მიზნამდე.

— გჯერათ თუ არა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს იდეისა და კონკრეტულად რა გზებს ხედავთ მის განსახორციელებლად?

— რასაკვირველია, მჯერა, თორემ ისე ყველაფერს აზრი ეკარგება. რაც შეეხება გზებს, ისინი გასავლელია ბოთმენითა და წინჰვრეტით, პარლამენტური საშუალებით. კარგად უნდა გავიცნობიეროთ დღეს ვინ და რანი ვართ, ხვალ ვინ გვინდა ვიყოთ, რა გვაქვს და რა უნდა გვქონდეს. კაცი რომ ახალ სახლს აშენებს, რაც კი ვარგისი და სასარგებლოა, ყველაფერს იყენებს. კარგ მემკვიდრეობაზე არ უნდა ვთქვათ უარი, ჩვენი წარსული მარტოოდენ შავი ლაქები როდია. არც ის არის სწორი, მთელ თაობებს წავუყენოთ ბრალდება. მათ შორის ბევრი ერის ღირსეული შვილია.

აუცილებელია გავითვალისწინოთ სად ვცხოვრობთ, ვინ არიან ჩვენი მეზობლები. და გულში რა უდევთ, არც ისტორიის დავიწყება ეგების, რომლისთვისაც 70 და 200 წელიც რამდენიმე წუთია. ისევ ილიას მოვიშველიებ: ერის დაცემა. და გათახსირება მაშინ იწყება, როცა თავის ისტორიას ივიწყებს. არც სიბრძნემ უნდა გვიღალატოს, უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული პრობლემები ისეთი

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ, ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ლასთან ერთად. ეს რთული პერიოდი ერთად უნდა გადავიტანოთ, ადვილად არაფერი მოდის. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერის სულიერი პოტენციალის, ჩვენი სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის, აგრეთვე მუშათა კლასის დიდი ნაწილი პარტიის წევრები არიან.

— როგორ უყურებთ საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობას, ვთქვათ, ლიტვის მაგალითზე?

— რასაკვირველია, თავისთავადობა აუცილებელია. მაგრამ როგორ და რანაირად, ეს კარგად ასაწონ-დასაწონია. ყოველი ნაბიჯი ჩვენს გარემოს, ჩვენს სიტუაციას, რეალურ პირობებს უნდა მივუსადაგოთ. ჩვენ საკუთარი სტატუსი, პროგრამა, თუნდაც სახელწოდება უნდა გვქონდეს და საერთოდ საკუთარი გზით უნდა ვიაროთ, ყველა ქვეყანა და საქართველოც ხომ უნიკალურია თავისი ხალხით, კულტურით, საზოგადო ფსიქიკით, გავლილი თუ გასავლელი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური გზით.

— თვით კომპარტიის პროგრამაში ხომ არ არის მოძველებული ზოგი რამ?

— ზოგი კი არა, ვფიქრობ, ბევრი რამ. დღეს ინაქრონიზმად ეფერს პროლეტარიატის დიქტატურა, კლასთა ბრძოლა და ა. შ. ნებისმიერი პარტიის პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს ზოგადკაცობრიული, ჰუმანისტური, მთგან გამომდინარე კეთილშობილური ეროვნული იდეალები ყოველგვარი დიქტატურისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის დაპირისპირების გარეშე. მე ასე მგონია.

— როგორ აღიქვამთ საქართველოში მომხდარ ეთნოკონფლიქტებს, რა იყო მიზეზი? რა პერსპექტივები ისახება? ასეთი რამ საქართველოში ხომ არასოდეს მომხდარა.

— ამ პროცესებზე იგივე აზრისა ვარ, როგორსაც ჩვენი საზოგადოებრიობის უმრავლესობა გამოთქვამს. იგი ყველგან ერთი სცენარით მოხდა, არ არსებობდა ამ კონფლიქტების ობიექტური, რეალური საფუძველი. იგი ინსპირირებული იყო იმ ძალების მიერ, რომლებსაც არ სურთ თავისუფლება, დემოკრატია, მშვიდობა ჩვენს მიწაზე. მე მაინც სიკეთისა და გონიერების მჯერა, არასოდეს ვურჩე არც ერთ ხალხს მის ეროვნულ ფარმონოდგენლებში. მჯერა იმისაც, რომ ბოლო კეთილია და სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

რასაკვირველია, ამ მხრივ ძალზე ბევრი რამ უნდა გააკეთონ პარტიულმა, საბჭოთა და ხელისუფლების სხვა ორგანოებმა, ფართო საზოგადოებრიობამ.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან, თქვენ თვითონ, როგორც დეპუტატობის კანდიდატი, თუ მონაწილეობთ არჩევნებში?

— იმედით შევყურებ უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს. როგორც ალენიშნეთ, დეპუტატთა ძველმა კორპუსმაც კი დაადასტურა უკანასკნელ სესიაზე, რომ საკმაოდ სოლიდურად, დემოკრატიულად შეუძლიათ სერიოზული, საგანმშფოფრებელი პრობლემის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. ახალმა, ბუნებრივია, მეტი უნდა გააკეთოს.

და რაკი მომავალს იმედით შეგყურებ, კმონაწილეობ არჩევნებში. დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს ახალციხეში, მშობლიურ სამცხე-ჯავახეთში, სოფელ მუსხის მშრომელებმა, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებმა, ახალციხის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა და საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებამ. ვსარგებლობ შეთხზეგით და დიდ მადლობას მოვახსენებ მათ.

— კერძოდ, რა კავშირი გაქვთ სამცხე-ჯავახეთთან?

— ყველაზე ახლობელი და თბილი. ჩემი გვარის სამკვალად წუნდის ეკლესია ითვლება, საიდანაც წამოღებულ ერთ პუშ მიწას სასოებით ვინახავ შინ. ჩემი უახლოესი ხალხი და წინაპრები ძველი ახალციხის — რაბათის სასაფლაოზე განისვენებენ, მამამ სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი ფესვლიერი ეროვნული დაწესებულება, № 1 საშუალო სკოლა დაამთავრა. მეც მიცნობენ, კერძოდ, ამ სკოლაში, სოფელ მუსხში, მუზეუმში, სხვაგანაც.

— კონკურენტები თუ გყავთ?

— კონკურენტები, რასაკვირველია, მყავს და არცთუ ცოტა. კონკურენტებთან ბრძოლას კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, ალალად და კონკრეტული საქმეებით ვაპირებ და არა თანამდებობით.

საერთოდ მიმაჩნია, რომ ამ არჩევნებში ყველა მოკალაქემ უდიდესი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დროს ერთგვარმა შიშმა შეშიპყრო: უზნეო ხალხი არ შეიპარის პარლამენტში. ჩემი აზრით, მთავარია არა თანამდებობა და თუნდაც პოლიტიკური შეხედულებები, არამედ კომპეტენტურობა, მაღალი ზნეობა, ხალხმა უნდა იცოდეს ვინ ვინ არის, რა გაუკეთებია და რისი გაკეთება ხელეწიფება.

მომავალმა პარლამენტმა, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა ასახოს შეხედულებებისა და განწყობილებათა ის სპექტრი, რომელიც დღეს რეალურად არსებობს.

და ისევ მინდა გავიმეორო: უდიდესი სიფრთხილე და მოქალაქეობრივი, ეროვნული პასუხისმგებლობა, ობიექტურობა და პრინციპულობა მართებს აბსოლუტურად ყველას.

კარგადაა ნათქვამი: როგორიც ერიო, ისეთი ბერიო. ეს არჩევნები, ალბათ, გამოაჩენს ჩვენს პოლიტიკურ, ეროვნულ, ზნეობრივ სიმწიფეს.

მე მაინც იმედიანად ვარ განწყობილი.

— რაკი კენჭს მესხეთში იყრით, ალბათ თქვენი გამოკვეთილი დამოკიდებულება გექნებათ ეგრეთ წოდებულ „თურქი მესხების“ პრობლემასთან.

— ჯერ ერთი, თვით ამ ცნების შესახებ. იგი საქართველოს გარეთაა შექმნილი საკმაოდ საეჭვო მიზნებით. ასეთი ეთნიკური ჯგუფი არ არსებობს. ან თურქი უნდა იყო, ან მესხი, ამ ორივეს, მოგეხსენებათ, სხვადასხვა სამშობლო აქვთ. რასაკვირველია, თავის მხრივ მთელი მუსულმანური მოსახლეობის გასახლება არაჰუმანური, ხოლო თუ მისი განხორციელების ფორმებსაც გავითვალისწინებთ, ტრაგიკული აქტი იყო, მაგრამ ვისაც და რა დაბეჯითებითაც უნდა სურდეს, მათი უკან დაბრუნებით ახალი ტრაგედია არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. რეალური სიტუაცია კი სწორედ ასეთია. ჩვენ საკმაოდ ბევრი ქართველი გვყავს დასახლებული და საპატრონო, თანაც არა მხოლოდ აპარლები და სვანები. შეგახსენებთ, რომ 200 ათასზე მეტი ქართველი სხვა მომმე რესპუბლიკებში ცხოვრობს და მათ ნაწილსაც სამშობლოში სურს დაბრუნება.

— ისევ საზოგადო პოლიტიკას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, რატომ ჩატდა ხიდი ხალხსა და პარტიას შორის, რამ წარმოშვა უნდობლობა?

— ჩემი აზრით, ხიდი არ ჩატეხილა, მაგრამ სერიოზულად გაიბზარა. უნდა გამაგრდეს. ამ ურთიერთობის სერიოზული რეკონსტრუქცია სჭირდება. რაც შეეხება. მიზეზებს, ვფიქრობ, ისინი კარგადაა ცნობილი და განვლილი ცხოვრების ყველა პერიოდში, მათ შორის დღევანდელობაშიც უნდა ვეძებოთ. მართალია, შვილები მამების საქმისათვის პასუხს არ აგებენ, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ მათ დაიწყათ წარსული შეცდომებისა და დამახინჯებების, დოგმატურ-შაბლონური აზროვნებისა და მოქმედების მთელი ტვირთი.

ამასთან, არც შვილები აღმოჩნდნენ ყველაფერში მოწოდების სიმაღლეზე. პარტიის გარდაქმნა აშკარად ჩამორჩა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და მოთხოვნილებების ობიექტურ, დინამიკურ განვითარებას, რისი პროგნოზიც წინასწარ ვერ გაკეთდა. კვლავ ღრმად არის ფესვგადგმული კარიერიზმი, კორუფცია, შექრთამობა, პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი, ზნეობრივი საზოგადოებისათვის მიუღებელი სხვა სმახინჯენი.

ყოველივე ამას თან დაერთო ეკონომიკის ეფექტიანი მართვის უუნარობა, წარმოების საშუალებებისაგან მწარმოებლის მოწყვეტა, შრომის მოტივაციური სტიმულების დამახინჯება, გადაუჭრელ სოციალურ პრობლემათა ზრდა, დისკუსიანინის მოშლა და პასუხისმგებლობის შესუსტება, დამნაშავეობის ზრდა. ვიყოთ გულწრფელნი და სინამდვილეს თვალებში შეეხედოთ — ამ სენით არა მარტო პარტიული სახელმწიფოებრივი მექანიზმი, არამედ ჩვენი საზოგადოებრიობის საგრძნობი ნაწილია დაავადებული. ბევრი ისევ მხოლოდ „ზემოდან“ ან სხვისგან ელის ხსნას, იმის ნაცვლად, რომ ყველამ კეთილსინდისიერად აკეთოს თავისი საქმე. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მომზადებული შეხვდა გარდაქმნას, თუმცა, ჩემი აზრით, ვერც გარდაქმნის სტატეგიამ გაითვალისწინა ეს ფაქტორები, მათ შორის ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავება და ეროვნული თვითშეგნების მძლავრი გამოღვიძება.

ასეთ პირობებში ნებისმიერ პარტიას შეერყეოდა ავტორიტეტი და ნდობა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული ძვრების წამომწყები და განმხორციელებელი თვითონაა. ასე რომ, გარდაქმნა და თვითგანწმენდა სჭირდება როგორც პარტიას, ისე, ჩემი აზრით, მთელ საზოგადოებას, მის ზნეობრივ საყრდენებს, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს. ეს პროცესი უკვე დაიწყო და ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ მის სწორ განვითარებას, დავდგეთ მართალ, მტკიცე პოზიციებზე, ვიყოთ რეალისტები, წინ ვიყუროთ და აბსოლუტურად ყველამ ქვეყნის, საზოგადოების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობით ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი საქმე.

ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ რედაქციაში გვესტუმრა, ბელგიაში გამოცემული ბიულეტენი მოგვიტანა და შინაარსიც თავადვე გაგვაცნო. ჩვენი კულტურის შესახებ საზღვარგარეთ გამოცემულ ყოველ ასეთ ნამუშევარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და სათანადო პროპაგანდასაც უწევდა. და რა გულდასაწყვეტია, რომ ოთარ ᲑᲘᲒᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე უეცრად გარდაიცვალა. ვბეჭდავთ მის უკანასკნელ ინტერვიუს ჩვენს კორესპონდენტთან.

ᲐᲛ უკანასკნელ ხანს ჩვენმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად გაიფართოვა კულტურული ურთიერთობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. შარშან ბელგიაში შეიქმნა ასოციაცია ბელგია-საქართველო, რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი კულტურის დიდი მეგობარი გოლდი ბლანკოთ-სკარი.

— ვინ არის იგი, საიდან იცნობს საქართველოს? — ამ კითხვით მიგმართეთ უცხოეთში მცხოვრებ თანამებრძოლებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარეს ᲝᲗᲐᲠ ᲑᲘᲒᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

— ქალბატონი გოლდი ქართველოლოგია. იგი არა ერთხელ ყოფილა საქართველოში. ჩვენი საზოგადოების მოწვეევით კი ცხრა თვის განმავლობაში სტაჟირებას გადიოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ სწავლობდა ქართულ ენას, ჩვენს ისტორიას, კულტურას. მან ჩვენს საზოგადოებასთან შეთანხმებით გადაწყვიტა დაეარსებინა ასოციაცია ბელგიაში, როლის მთავარი მიზანია ქართული კულტურის პროპაგანდა ევროპაში. ასოციაცია აერთიანებს ბელგიაში მცხოვრებ ქართველებსა და ჩვენი კულტურით დაინტერესებულ ბელგიელებს.

— იქნებ გაგვაცნოთ ამ ასოციაციის სამოქმედო პროგრამა?

— ასოციაცია ბელგიაში მოაწყობს ქართველ მხატვართა გამოფენებს, ორგანიზაციას გაუკეთებს ჩვენს ფესტივალებს, ქართული საკონცერტო კოლექტივების გასტროლებს ბელგიაში; სასწავლებლად მოიწვევენენ ქართველ ბავშვებს და ასევე ბელგიელ ბავშვებს გამოგზავნიან საქართველოში, დაეხმარებიან საქართველოთი დაინტერესებულ პირთ, იმოგზაურონ ჩვენს ქვეყანაში, ასე მაგალითად, შარშან, შემოდგომაზე ჩვენი საზოგადოების მოწვეევით ბელგიელთა თვრამეტკაციანი ჯგუფი იყოფებოდა საქართველოში. ეს იმოგზაურეს ქართლში, კახეთში, იმერეთში, დაათვალიერეს კულტურის ძეგლები, ახლოს გაეცნენ საქართველოს წეს-ჩვეულებებს, შეხვედრები ჰქონდათ ქართველ მეცნიერებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან.

და აი, ბრიუსელიდან მივიღეთ ბელგია-საქართველოს ასოციაციის მიერ ფრანგულად გამოცემული ბიულეტენის პირველი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ამ მოგზაურთა შთაბეჭდილებები. ბელგიელები მათი ნაამბობით ეცნობიან თანამედროვე საქართველოს ცხოვრებას, ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს, ბიულეტენში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შარშან, ოქტომბერში თბილისში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელიც ქართული ხელოვნების საკითხებს მიეძღვნა. დაბეჭდილია მასალები ილია ჭავჭავაძის იუბილეზე, საინტერესო ბიბლიოგრაფიული ცნობებია მოცემული „მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გასტონ ბუაჩიძისეულ თარგმანზე, მკითხველი გაეცნობა უფროოდ დაღუპული ნიკიერი ქართველი ყმაწვილის დათო კრაწაშვილის შემოქმედებას, აქვეა გამოქვეყნებული მისი ნამუშევრები. ილუსტრაციები, როგორც ცნობილია, იუნესკოსთან შერეული ქართული კულტურის ფონდი. ამ ფონდის მიზნებს აცნობს მკითხველს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ჯავახიშვილი. დაბეჭდილია აგრეთვე ქართული ხატების ფოტოტრეპროდუქციები კომენტარებით.

მართალია, ჯერ მხოლოდ ბიულეტენის პირველი ნომერი გამოქვეყნდა, მაგრამ აქ წარმოდგენილი მასალები იმედს გვისახავს, რომ ბელგია-საქართველოს ასოციაციის სახით ნამდვილად კარგი მეგობარი შეეძინეთ. იმედია, გაგვიცნობენ, რომ ჩვენ მშვიდობიანი ერი ვართ და ყველასთვის სიკეთე და ბედნიერება გვწადია.

— როგორია ამ ასოციაციასთან თქვენი შემდგომი დამოკიდებულება?

— საქართველოს საზოგადოებამ თავის მხრივ უნდა იზრუნოს ბელგიური კულტურის პროპაგანდისათვის ჩვენში. მოაწყოს სპასუხო ღონისძიება ბელგიელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენების, კინოფილმების ფესტივალების თუ მუსიკოსთა გასტროლების მხრივ. ჯერჯერობით კი ვამზადებთ ძალ ბელგიაში გავაგზავნ